



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამა 1: ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი)

პროგრამა 2: ქართველური ენათმეცნიერება (მაგისტრატურა)

პროგრამა 3: ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა)

პროგრამა 4: ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება (მაგისტრატურა)

პროგრამა 5: ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-
საგამომცემლო საქმე (მაგისტრატურა)

პროგრამა 6: შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია
(მაგისტრატურა)

პროგრამა 7: ფილოლოგია (დოქტორანტურა)

შეფასების
თარიღ(ებ)ი 20-
24 დეკემბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი

07.02.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	16
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	16
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	62
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	76
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	84
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	109

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რებეკა რუთ გოულდი, ბირმინგემის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბაკრაძე, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა კარაულაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგია	ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება	ქართული ლიტერატურა	ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება	ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საგამომცემლო საქმე	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია	ფილოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6 საფეხური - ბაკალავრიატი	მე-7 საფეხური - მაგისტრატურა	მე-7 საფეხური - მაგისტრატურა	მე-7 საფეხური - მაგისტრატურა	მე-7 საფეხური - მაგისტრატურა	მე-7 საფეხური - მაგისტრატურა	მე-8 საფეხური - დოქტორანტურა

<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ქართული ფილოლო გიის ბაკალავრ ი</p>	<p>ქართული (ქართულ ური) ენათმეცნი ერების მაგისტრი</p>	<p>ქართულ ი ლიტერა ტურის მაგისტრ ი</p>	<p>ენათმეცნი ერების მაგისტრი</p>	<p>ლიტერა ტურათმ ცოდნეო ბის მაგისტრ ი (ლიტე რატურ ათმცო დნეობი ს მოდულ ი); ფილოლ ოგიის მაგისტრ ი (მოდულ ი - ტექსტო ლოგია</p>	<p>ფილოლ ოგიის მაგისტრ ი</p>	<p>ფილოსო ფიის დოქტორი</p>
--------------------------------------	---	---	--	--	---	--	------------------------------------

					სარედაქციო საგამომცემლო საქმე)		
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232.1.1 - ქართუ ლი ფილო ლოგია	0232.2.2 - ქართული (ქართველ ური) ენათმეცნი ერება	0232.1.3.- ფილოლოგია	0232.2.1. - ენათმეცნიერ ება	0232.2.5. - ლიტე რატურ ათმცო დნეობ ა 0232.1.3. - ფილოლოგია	0232. 1.3. ფილოლოგია	0232. 1.3. - ფილოლოგ ია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება¹	-	-	-	-	-	-	
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120	120	120	120	სასწავლო კომპონენ ტი 40 ECTS კრედიტი

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p>	<p>აკრედიტებული N 172, 28.10.11</p>	<p>აკრედიტებული № 223, 18.07.12</p>	<p>აკრედიტებული № 222, 18.07.12</p>	<p>აკრედიტებული N 236 ; 18.07.12</p>	<p>აკრედიტებული № 231, 18.07.12</p>	<p>აკრედიტებული № 207, 18.07.12</p>	<p>აკრედიტებული, № 239, 18.07.12</p>
--	---	---	---	--	---	---	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

● ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური კლასტერი, სამივე უმაღლეს საფეხურზე, 7 პროგრამას მოიცავს შემდეგნაირად:

(i) საბაკალავრო პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში (აკრედიტებული 2011 წელს) – შედგება 240 ECTS კრედიტისგან, საიდანაც 50 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო ჰუმანიტარულ კომპეტენციას და არჩევით კურსებს; 120 ECTS განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (პროფილური) სპეციალობისთვის; სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ (როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ასევე უმაღლესი სასწავლებლის სხვა ფაკულტეტებზე) დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (სპეციალობა) 60 ECTS-ის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს დამატებით პროგრამას, 60 ECTS შეიძლება დაგროვდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაგეგმოს საკუთარი სასწავლო პროცესი, შეიძინოს ცოდნა და კომპეტენციები დამატებით სპეციალობაში საკუთარი პრეფერენციების მიხედვით.

(ii) სამაგისტრო პროგრამა ქართულ (ქართველურ) ენათმეცნიერებაში (აკრედიტებული 2012 წელს) - აერთიანებს სამ მოდულს:

1. ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. 2. ქართველური ენები და დიალექტები. 3. ქართული ენის პრაგმატიკა

პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის საერთო კურსები მოიცავს 30 ECTS კრედიტს. თითოეული მოდულისთვის გამოყოფილია ძირითადი სპეციალიზაციის საგნები და არჩევითი საგნები. მაგისტრატურის სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი საგნების გავლა პროგრამის ნებისმიერი მოდულიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

(iii) ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) - სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: პროგრამის ძირითად კურსებზე გათვალისწინებულია 25 ECTS, სპეციალიზაციის მოდულს სტუდენტი ირჩევს სწავლის პირველი სემესტრიდან, ხოლო ძირითადი და არჩევითი კომპონენტებით სწავლობს სამი სემესტრი. თითოეული მოდულისთვის შემოთავაზებულია ძირითადი კურსი - 30 ECTS და არჩევითი კურსი - 35 ECTS. ძირითადი და არჩევითი კურსების განაწილება თანაბრად ადეკვატურია. მაგისტრატურის სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი საგნების გავლა ნებისმიერი მოდულიდან. IV სემესტრის 30 კრედიტი ეთმობა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას და კომისიის წინაშე დისერტაციის საჯარო დაცვას. პროგრამა მოქნილია და აკმაყოფილებს ქართული ლიტერატურის დარგის სტუდენტების მრავალფეროვან ინტერესებს, უზრუნველყოფს საკმაოდ დიდ აოდენობით დისციპლინასა და არჩევით საგანს.

(iv) ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) – შედგება 120 ECTS-ისგან. პროგრამა მოიცავს სპეციალიზაციის სავალდებულო საგნებს და არჩევით საგნებს. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას. პროგრამა ითვალისწინებს ამ მიმართულების მრავალწლიან საუნივერსიტეტო ტრადიციას, ასევე ქართული და უცხოური აკადემიური სივრცის შესაბამის გამოცდილებას.

(v) ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) - პროგრამის მოცულობა იზომება

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

კრედიტებში და მოიცავს 120 ECTS-ს, რაც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამაგისტრო პროგრამების სასწავლო ციკლს. თითოეული მოდულისთვის გამოყოფილია 30 კრედიტი. ორ მოდულს შორის კავშირი უზრუნველყოფილია სავალდებულო კურსების (30 ECTS) და ასევე არჩევითი კურსების (30 ECTS) თანმიმდევრობით, რომლებიც საერთოა ორივე მოდულისთვის. სავალდებულო კურსისა და ერთ-ერთი მოდულის ერთობლიობა შეადგენს 60 ECTS-ს, ანუ მთლიანი პროგრამის 50%-ს, რაც რომელიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი კვალიფიკაციის (ლიტერატურათმცოდნეობის ან ფილოლოგიის მაგისტრის) მინიჭებისთვის, ამგვარად, შესაძლებელია პროგრამის თითოეული მოდულისთვის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

(vi) სამაგისტრო პროგრამა შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია (აკრედიტებული 2012 წელს) - პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის საფეხურს, ხოლო მისი თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურობას; პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება. პროგრამა დაყოფილია ორ მოდულად (მოდული I – შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია და II მოდული – შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია)

(vii) ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) - მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილია 40 ECTS კრედიტი, აქედან 25 ECTS კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებზე და აქტივობებზე, ხოლო 15 ECTS კრედიტი არჩევით კურსებსა და აქტივობებზე. დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს ორი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლებიც მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილია. დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, პოზიტიურ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს სტუდენტის მიერ, უფრო დაბალი სასწავლო საფეხურის კურსებზე თავისუფალი დასწრება, დარგობრივი ცოდნის გაღრმავების მიზნით.

პროგრამები მიზნად ისახავს დარგში თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური ცოდნის მიწოდებას და ახალი ცოდნის შექმნას. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ეცნობა ფილოლოგიის დარგს, ისტორიული განვითარების გზებს, მიმართულებებს, ფილოლოგიურ მეთოდებს, ტექსტებზე მუშაობას, ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ საკითხებს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამები მიზნად ისახავს ღრმა და სისტემატური ცოდნის მიწოდებას ფილოლოგიის ხუთ მიმართულებაში. პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებულია შესაბამისი სპეციალიზაციის მოდულები, კრიტიკულად იკვლევს პრაქტიკული ფილოლოგიის ძირითად მახასიათებლებს, განმარტავს და ადარებს ქართულ და ზოგად ფილოლოგიურ პრობლემებსა და კვლევებს ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით; პროგრამები ორიენტირებულია ფილოლოგიურ სამეცნიერო-კვლევითი მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების ღრმა და სისტემატურ შესწავლაზე. სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ფილოლოგიის დარგის ყველა მიმართულების ინტეგრაციას და გაერთიანებას სამეცნიერო თემებთან, როგორც ენათმეცნიერებასთან, ისე ლიტერატურათმცოდნეობასთან. პროგრამა ამზადებს ფილოლოგიის დარგის მკვლევარებს თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი სტანდარტების მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 20-23 დეკემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ფილოლოგიურ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასების მიზნით. ვიზიტი ჩატარდა შერეულ ფორმატში,

ადგილზე და ონლაინ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნენ ბოლო წლებში დაცულ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს, მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამების თვითშეფასების ჯგუფებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან.

დასასრულს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინა, ვიზიტის დროს გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი შეთავაზებები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფილოლოგიის კლასტერი შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.
კერძოდ:

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.1 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 5: პროგრამის მიზნების მოდიფიცირებისას, რეკომენდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინება;

პროგრამა 5: რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გაზიარდეს არამხოლოდ სასწავლო პერსონალთან, არამედ სტუდენტებთან, რათა მათ შეძლონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

1.2 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 2: რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიის სპეციალისტებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

პროგრამა 3: რეკომენდებულია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარება B2 დონემდე ძირითადი კურსების საშუალებით, რათა გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და საერთაშორისო დონეზე სხვა აქტივობებში;

პროგრამა 4: რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული

ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

პროგრამა 5: უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანმიმდევრულობა, უფრო პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ფოკუსირებით;

პროგრამა 6: რეკომენდებულია, რომ პროგრამას ჰქონდეს უფრო ფართო სფერო, რათა გასცდეს ქართულ-ბერძნულ-სომხური ენების ფარგლებს და უკეთესად მოიცვას ფილოლოგიის სფეროს უფრო ფართო საკითხები. ამგვარად, შესაბამისი ასპექტები უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში;

პროგრამა 7: რეკომენდებულია დამსაქმებელთა ინტერესების მეტად გათვალისწინება, რაც იძლევა დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის ადეკვატურ სწავლის შედეგებს.

1.3 ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებისთვის.

1.4 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 1: კურსის „მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსები“ უნდა გარდაიქმნას სავალდებულო კომპონენტად, პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით;

პროგრამა 6: რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ინტერდისციპლინარული კურსები (ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია).

1.5 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 1: უცხო ენები შეთავაზებულია არჩევით კომპონენტში და კონკრეტულ სემესტრში; ამ კურსების შეთავაზებისას, სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია უნდა იყოს მინიმუმ B2 დონე, რათა გაიგოს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შინაარსი რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და/ან გერმანულ ენებზე;

პროგრამა 6: რეკომენდებულია ზოგიერთ კურსზე მითითებული ინგლისური, რუსული გერმანული და/ან ფრანგული სავალდებულო ლიტერატურა ქართულად თარგმნოს კურსის ავტორმა;

პროგრამა 5: უსდ-მ უზრუნველყოს, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს (მათი შინაარსი და სწავლის შედეგები) და ადეკვატურია სამაგისტრო დონისთვის, რაც უზრუნველყოფს მეტ დროს დამოუკიდებელი სწავლისთვის;

რეკომენდებულია, რომ ზოგიერთ კურსში სომხურ ენაზე მოწოდებული სავალდებულო ლიტერატურა ითარგმნოს ქართულად კურსის ავტორების მიერ, რადგან პროგრამის სპეციფიკის მიუხედავად, ყველა სტუდენტს არ შეუძლია ჰქონდეს სომხური ენის შესაბამისი ცოდნა;

2.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2

დონეზე ცოდნა.

პროგრამა 6: უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ტექსტოლოგიაში მისაღები გამოცდა მოდიფიცირებულია ცალკეული მოდულების მოთხოვნების შესაბამისად.

2.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს და თავად სტუდენტებს შორის;

კლასტერი: რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/დისტანციური სწავლების ჩატარება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

● რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

1.1 ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება;

პროგრამა 5: პირველი მოდულის მიზნების ცალკე აღწერა;

პროგრამა 6: სასურველია, რომ ინტერნაციონალიზაცია უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პროგრამის მიზნებში;

პროგრამა 7: მეტი ძალისხმევა შეიძლება განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მათ შორის, სადოქტორო კომიტეტებში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მეცნიერთა ჩართვით, სადაც მათი გამოცდილება შესაბამისი ექნებათ;

1.2 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 3: გაიზარდოს საკონტაქტო საათები უცხო ენის 5 კრედიტიან კურსებზე 1 და 2 (ინგლისური/გერმანული/ფრანგული), CEFR-ის საფუძველზე სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარების უზრუნველსაყოფად;

პროგრამა 5: განახლდეს პროგრამის შედეგები ისე, რომ ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა უფრო დიფერენცირებულად იყოს აღწერილი;

პროგრამა 5: პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად და კონკრეტულად, რათა ისინი უფრო სასარგებლო და მოსახერხებელი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის;

პროგრამა 5: პროგრამის შედეგები შეიცვალოს ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, მისი ოფიციალური ამოქმედებისთანავე;

პროგრამა 7: უსდ-მ სჯობს ერთმანეთისგან განახსვავოს ცოდნა-გაგება, უნარები და

პასუხისმგებლობა-ავტონომია და სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს.

1.4 ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: სასწავლო გეგმაში შესაძლებელია კავკასიის შესწავლის უფრო გლობალური მიდგომის ჩართვა. ეს მოიცავს საქართველოს კონტაქტების აღიარებას ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან, აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ლიტერატურებს შორის ურთიერთობის შესწავლას;

პროგრამა 1: სასურველია, ბოლოდროინდელი კვლევები, ახალი აღმოჩენები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები აისახოს პროგრამის შინაარსში (რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების შედეგებს, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულია უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი);

პროგრამა 1: სასურველია ძირითადი და არჩევითი კურსები არ განმეორდეს ერთიდაიგივე საკითხის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით და შესაბამისად დაიგეგმოს კურსის სილაბუსები;

პროგრამა 3: პროგრამის კვალიფიკაციაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - „ქართული ლიტერატურის მაგისტრი“;

პროგრამა 5: უსდ-მ მხედველობაში მიიღოს ახალი კვლევის შედეგები და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები უახლესი საერთაშორისო სამეცნიერო წყაროების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;

პროგრამა 6: რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უფრო ნათლად აღწერდეს პროგრამის ორ მოდულად დაყოფას;

მიზანშეწონილია უსდ-მ დაამატოს ცალკე მოდული შუასაუკუნეების ქრისტიანულ სირიულ/არამეულ ენაზე, რადგან ეს არის შუა საუკუნეების სირიული, ბერძნულთან ერთად, რომელმაც განსაზღვრა შუა საუკუნეების აღმოსავლური ქრისტიანული კულტურა; ან მინიმუმ შესთავაზოს კურსი შუა საუკუნეების სირიულში.

1.5 ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 1: პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს დარგის ბევრ ახალ და საინტერესო დისციპლინას, ამგვარად სტუდენტი აღჭურვილია დარგის განვითარების თანამედროვე მიდგომებით. მნიშვნელოვანია, რომ კურსების ავტორებმა გაითვალისწინონ საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკა და სტუდენტს მიაწოდონ შესაბამისი მოცულობის ლიტერატურა, რადგან ზოგიერთი კურსი შეიცავს სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ დიდ ჩამონათვალს;

პროგრამა 1: სასურველია, სამეცნიერო ლიტერატურაში გათვალისწინებული იყოს სტუდენტის უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე;

პროგრამა 2: უმჯობესია, აკადემიური კურსებით მოწოდებული მასალის რაოდენობა, მისი გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა, შესაბამებოდეს კონკრეტულ აკადემიურ კურსზე მინიჭებულ კრედიტს და ამ კრედიტების შესაბამის ლექცია-სემინარულ საათებსა და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს;

პროგრამა 3: რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიის გადახედვა და კურსის შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიტერატურის სიის შემცირება, სხვა კურსებში იგივე ლიტერატურის გამეორების თავიდან ასაცილებლად;

პროგრამა 3: სასურველია, გადაიხედოს ზოგიერთი კურსის კრედიტების დატვირთვა, რათა სტუდენტებმა შეძლონ დიდი მოცულობის წიგნების დამუშავება, გაგება და ანალიზი; საგნისთვის კრედიტების მინიჭება მიზანშეწონილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო სამუშაოსა და პროგრამის დონის გათვალისწინებით;

პროგრამა 5: კურსების სწავლის შედეგები შესწორდეს ისე, რომ ისინი უფრო დიფერენცირებულად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს და აღმოიფხვრას ფუნქციური დუბლირებები;

პროგრამა 5: როგორც სალექციო საკითხავების ჩამონათვალში, ასევე სილაბუსების შინაარსში შევიდეს პირველადი წყაროები (ლიტერატურული ტექსტები);

პროგრამა 5: სილაბუსებში მიეთითოს კორელაცია სწავლის შედეგებსა და დავალებებს შორის, სადაც ნაჩვენებია შეფასების რომელი მეთოდია გამოყენებული თითოეული სასწავლო შედეგისთვის;

პროგრამა 6: უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები სწორად არის მითითებული სილაბუსებში;

პროგრამა 6: მიზანშეწონილია, რომ სამაგისტრო ნაშრომის თემები არ შემოიფარგლოს ბიბლიის შესწავლით, არამედ გაფართოვდეს;

პროგრამა 7: ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებზე შემცირდეს საკონტაქტო საათები, რაც დოქტორანტებს მისცემს მეტ დროს დამოუკიდებელი მუშაობისა და კვლევისთვის.

2.1 ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: უსდ-მ განიხილოს იმ პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, სადაც სტუდენტთა მიღების დაბალი მაჩვენებელია, რათა ეს პროგრამები მეტად პოპულარული გახადოს.

2.2 ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: ჯგუფის რჩევაა, დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, განსაკუთრებული აქცენტით კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;

კლასტერი: ჯგუფის რჩევაა, დოქტორანტების სემინარის მსგავსი აქტივობის ან კურსის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების ეტაპობრივ გაძლიერებას რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ;

კლასტერი: ჯგუფის რჩევაა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია (სტუდენტთა თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები) მოგროვდეს და მიწოდებული იყოს ცალკე.

2.4. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები და შესაძლებლობები საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

3.2. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: მიზანშეწონილია, სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება;

კლასტერი: მიზანშეწონილია, დოქტორანტის ხელმძღვანელის მაქსიმალური ლიმიტის გადახედვა.

4.1. ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 7: სასურველი იქნება, შეძლებისდაგვარად, სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელების დამატებითი მხარდაჭერა (მათ შორის მათი მუშაობისთვის დამატებითი ანაზღაურება), რადგან სადოქტორო დისერტაციის ზედამხედველობა შედის აკადემიური პერსონალის რეგულარულ სამუშაო დატვირთვაში. ალტერნატივად, მიზანშეწონილი იქნება დოქტორანტის ზედამხედველობის სანაცვლოდ სამუშაო დატვირთვის შემცირება.

4.4. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი: სასურველია გაიზარდოს სტუდენტური სივრცეები უნივერსიტეტში;

პროგრამა 2: რეკომენდებულია სასწავლო კურსების ელექტრონული რესურსების, სწავლებისა და კვლევის ციფრული ელემენტების ეფექტური რეალიზაციისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინტენსიური რეალიზაცია, რაც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ძალისხმევას აღნიშნული რესურსის შეთავაზებისა და სტუდენტების მოტივაციის ამაღლების კუთხით.

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

სადოქტორო პროგრამის ქვესტანდარტის 1.2-ის აღწერით ნაწილში, დისკუსია შრომის ბაზართან დაკავშირებით, წარმოდგენილია ორ ნაწილად: პირველი ნაწილი ეხება დასაქმების აკადემიურ სივრცეს და შესაბამისად შეფასება დადებითია, ხოლო მეორე ნაწილში გამოთქმულია მოსაზრება დამსაქმებლის რეკომენდაციების უფრო მეტად გათვალისწინებაზე დასაქმების სხვა სფეროებთან მიმართებაში. შესაბამისად, დასკვნაში არაფერია გამოტოვებული, ამასთან, უნივერსიტეტი ეთანხმება ამ რეკომენდაციას.

ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება უნივერსიტეტის მოსაზრებას პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, რომ აღწერილობითი ნარატივი და პროგრამის კომპონენტების შეფასებების კავშირი არ არის უხუსტი, რამდენადაც:

1. ქვე-სტანდარტ 1.3-ში, საერთო კლასტერული რეკომენდაცია ვრცელდება ყველა პროგრამაზე და შეფასება, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტს“ ვრცელდება ყველა პროგრამაზე;

2. ქვე-სტანდარტ 1.2-ში მოცემულია რეკომენდაციები ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე და ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე, აღწერით ნაწილში წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, და სათანადოდ არის წარმოდგენილი შეფასება, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტს“;

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის.

3. პირველი სტანდარტის ორ ქვე-სტანდარტში: 1.2 და 1.3, შეფასება, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტს“ განსაზღვრულია ქართული ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამებისთვის, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამისთვის, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამისთვის, ასევე ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის. აკრედიტაციის დებულების მიხედვით (27-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი), „საგანმანათლებლო პროგრამა „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის მიმართ, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტს“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებაში – როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. “ შესაბამისად, ექსპერტის სტანდარტული შეფასება შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ უსდ-ისთვის გათვალისწინებული ყველა რეკომენდაცია უცვლელი დარჩება.

● **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიდწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება სტანდარტს. მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სწავლის შედეგები რეალისტურია, სასწავლო გეგმები კარგად შემუშავებული. გარდა ამისა, სტუდენტები საფუძვლიანად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში ყველა დონეზე. სწავლებისა და სწავლის მეთოდები არის შესაბამისი და მოქნილი. თითოეული პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზარი. ვიზიტმა დაადასტურა მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრატორების აქტიური ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებაში. ინტერნაციონალიზაციის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში შესანიშნავია.

კლასტერში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციული ფილოლოგიური კურსები ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თანმიმდევრულად ავითარებენ სტუდენტების ფართო ცოდნას ღრმა და სისტემურ ცოდნამდე; აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებელი კვლევისთვის.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები მოიცავს ფილოლოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებას, ფილოლოგიური დარგის კომპეტენციების სწავლებას.

პროგრამებს აქვთ საერთო მიზნები; თუმცა, ისინი დამოუკიდებელი, ინდივიდუალური პროგრამებია.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ამოცანები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. მიზნები ჩამოყალიბებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ძირითადად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დამსაქმებელთა ინტერესები არ არის გათვალისწინებული.

პროგრამების მიზნები ასახავს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს. სტუდენტებსა და

კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე ჩაერთონ საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიზნები კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს, წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამების მიზნები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული. იგი შეესაბამება სწავლების სფეროს, დონეს, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს, სტანდარტს, ითვალისწინებს საგნის სამიზნე ნიშნულს და მიღწევადია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში შემუშავდა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას და ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა აღჭურვას საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ქართული ფილოლოგიის, ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ საკითხებზე. პროგრამა მიზნად ისახავს ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო ცოდნის განვითარებას, რათა სტუდენტებმა შეძლონ ლიტერატურული ნაწარმოების ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით ანალიზი, კრიტიკული შეფასება, განხილვა და ინტერპრეტაცია; მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა და ქართული ფოლკლორის პროცესების აღწერა; მიზნად ისახავს, რომ სტუდენტი ფლობდეს ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურას; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას, პალეოგრაფიას; ქართული დიალექტოლოგიის ძირითად თემებს, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიას; ერთ-ერთ ევროპულ ენას და ერთ-ერთ კლასიკურ/ადმოსავლურ ენას დაწყებით საფეხურზე; მსოფლიო ლიტერატურული პროცესების სწავლას, თარგმანის თეორიას და პრაქტიკას საბაზისო დონეზე; ასევე, განავითაროს კრიტიკული მიდგომა ქართული ენისა და ლიტერატურის ანალიზისადმი, - დაწყებით საფეხურზე ლიტერატურული ტექსტის ენობრივი, ეთიკურ-ისტორიულ-იდეოლოგიური საკითხების განსაზღვრა და კრიტიკულად განხილვა; გამოიჩინოს პატივისცემა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის მიმართ, დაიცვან აკადემიური ეთიკა და ჰუმანისტური ღირებულებები. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ქართული ფილოლოგიის ფართო სპექტრს და მის ცალკეულ მიმართულებებს, მრავალფეროვან ძირითად და არჩევით კურსებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე და უფრო დეტალურად დაგეგმონ სწავლის შემდეგი საფეხური.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ქართული ფილოლოგიის მახასიათებლებს, რომელიც ითვალისწინებს დარგის მოთხოვნებს და მისი განვითარების თავისებურებებს. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროგრამის მიზნებიდან ჩანს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს ხელი შეუწყოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისადმი პატივისცემის განვითარებაში, აკადემიური ეთიკის, ჰუმანისტური ღირებულებების ფლობაში და ამით ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას და ზოგადად, საზოგადოებას. პროგრამაში ასახულია პროგრამის მიზნების განხორციელების გზები და მეთოდები კვლევის სფეროსა და დონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია ასევე გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებში, სადაც ხაზგასმულია კვლევის სფეროს სპეციფიკა. აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასევე აღინიშნა გასაუბრების პროცესში და დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღიარეს, რომ პერსონალიც და აღმინისტრაციაც მათ აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და სხვა საერთაშორისო პროექტების შესახებ. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებსაიტზე, ამ ინფორმაციას იზიარებენ პროგრამაში ჩართული

დაინტერესებული მხარეები. ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამით დასახული მიზნები შეესაბამება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, ისინი რეალისტური და მიღწევადია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანი სასწავლო დარგის ადეკვატურია. პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის მოთხოვნებს.

პროგრამა ორიენტირებულია ქართულ (ქართველურ) ენათმეცნიერებაში საერთაშორისო სტანდარტების სისტემატური დარგობრივი ცოდნის შექმნაზე, კვლევისა და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტის მომზადებას. პროგრამა უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას მაღალი ხარისხის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვის კუთხით და ითვალისწინებს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ხედვას.

მიზნები ასახავს რამდენიმე მოდულით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და მოიცავს ქართული ენათმეცნიერების განვითარების სხვადასხვა ასპექტს. ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს სამ მოდულს: 1. ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. 2. ქართული (ქართველური) ენები და დიალექტები 3. ქართული ენის პრაგმატიკა. პროგრამის ამოცანები ადეკვატურად ასახავს სამივე მოდულის მახასიათებლებს. პროგრამა ითვალისწინებს ფილოლოგიის საგნობრივ სამიზნე ნიშნულს, რომელიც ასახავს დარგის მოთხოვნებს და მისი განვითარების თავისებურებებს.

ქართულ (ქართველურ) ენათმეცნიერებაში სამაგისტრო პროგრამის მიზანია ქართული ენების სტრუქტურისა და ფუნქციონირების, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის შესახებ ღრმა და სისტემატური ცოდნის მიწოდება. ენათმეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა, რათა კურსდამთავრებული გაეცნოს ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენას და დიალექტებს, კოლხურს (მეგრულ-ლაზურს), სვანურ კრებულს და ემპირიული მასალის დამუშავებას სტრუქტურისა და ლინგოპრაგმატიკის საკითხებზე სამუშაოდ, შეძლოს ქართული ენის ქვესისტემების წყაროების ტექსტოლოგიური, ლინგვისტური, ლიგვოკულტურულ და შედარებითი ანალიზი (პროგრამის მოდულების მიხედვით), განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება აკადემიური ეთიკის პრინციპების შესაბამისად, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი ქართულ მონაცემებზე დაყრდნობით. ენების, სტრატეგიული ლინგვისტური კვლევის ჩატარება და შედეგების წარდგენა, ხელი შეუწყოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და სხვა ქართული ენების შესახებ ცოდნის გავრცელებას, ლინგვისტურ და კულტურული მრავალფეროვნებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების გაცნობიერებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა სტუდენტების ჩართულობა პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასახავს პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის ასპექტების წარმოდგენის რეალურობას.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს კურსდამთავრებულთა წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამების მიზნები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზნები ასევე ძირითადად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა პროგრამის მომზადებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კოორდინირებული საქმიანობა.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს კურსდამთავრებულებში განსავითარებელ

ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ფილოლოგია -მაგისტრატურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში შემუშავდა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას და ითვალისწინებს კურსდამთავრებულის საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნითა და უნარებით აღჭურვას. პროგრამა შედგება ოთხი მოდულისგან: მოდული 1: ძველი ქართული ლიტერატურა; მოდული 2: ახალი ქართული ლიტერატურა; მოდული 3: თანამედროვე ქართული ლიტერატურა, და მოდული 4: ფოლკლორი. პროგრამის აღწერაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი თითოეული მოდულის მიზანი, რაც ასევე შეესაბამება პროგრამის ძირითად მიზნებსა და უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურის სასწავლო დონეს.

პროგრამის თითოეული სპეციალიზაციის მოდული წარმოადგენს ძველი, ახალი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითად მიმართულებებსა და მახასიათებლებს, აგრეთვე ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის პრობლემებს. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე, დამოუკიდებლად წარმართონ სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ფოლკლორის სფეროებში, რათა მათ შეძლონ ლიტერატურული ტექსტების პროფესიონალურად წაკითხვა; ჩამოაყალიბონ თეორიული კვლევის, ინტერპრეტაციის, დამოუკიდებელი (ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული) კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების კულტურა და ჰქონდეს დრმა ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ფოლკლორის კონკრეტული საკითხების შესახებ.

სასწავლო კურსები და მოდულები ლოგიკურად არის დაკავშირებული და მოიცავს ქართული ლიტერატურის განვითარების მთელ სპექტრს. მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ქართული ფილოლოგიის მახასიათებლებს, რომელიც ითვალისწინებს დარგის მოთხოვნებს და მისი განვითარების თავისებურებებს. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რაც შეეხება პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართულნი არიან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასევე აღინიშნა გასაუბრების პროცესში და დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები და სილაბუსები (დანართი #2);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი #9)
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა (დანართი #17)
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო

პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანი სასწავლო სფეროს შეესაბამება. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურის მოთხოვნებს.

პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების სისტემატური დარგობრივი ცოდნის მიწოდებაზე, კვლევის, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას. პროგრამა დაკავშირებულია უნივერსიტეტის მისიასთან მაღალი ხარისხის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების კუთხით და ითვალისწინებს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ხედვას.

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანია დამოუკიდებელი, თვითკრიტიკული, ინიციატივიანი, პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის - პროფესიულონალი პრაქტიკოსი ენათმეცნიერის აღზრდა, რისთვისაც ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებაზე. პროგრამის მიზანია ენათმეცნიერული პრობლემების კომპლექსური შესწავლისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების, დასაბუთებული დასკვნების წარმოდგენისა და პროფესიული დონის ამადლების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა სტუდენტების ჩართულობა პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასახავს პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის ასპექტების წარმოდგენის რეალურობას.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს კურსდამთავრებულთა წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამების მიზნები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზნები ასევე ძირითადად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. მოწოდებული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა პროგრამის მომზადებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კოორდინირებული საქმიანობა.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს კურსდამთავრებულებში განსაზღვრებულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საგამომცემლო საქმე; მე-2 დონე)

ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო საგამომცემლო საქმის სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და განმარტავს, რომ პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალი მკვლევარები, რომელთაც ექნებათ რეალისტური და მიღწევადი ჩანს იმ 4 სემესტრის განმავლობაში, რაც გამოყოფილია ამ სამაგისტრო პროგრამისთვის. გარდა ამისა, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის დარგის სპეციფიკას, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორი 0232-ით, რომელიც მოიცავს შედარებითი ლიტერატურის შესწავლას, ასევე „ლიტერატურის შესწავლას ზოგადად (არ არის კომბინირებული სპეციალური ენის შესწავლასთან)“. ისინი ასევე შეესაბამება ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე საფეხურს, ასახავს რა „თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების თეორიული ასპექტებს“ და წვლილის შეტანას ლიტერატურათმცოდნეობაში „დარგის უახლესი ცოდნით“. პროგრამის მიზნები, როგორც ისინი აღწერილია სასწავლო გეგმაში, მოიცავს ცოდნას და გააზრებას (ლიტერატურის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმას), უნარებს (დასავლეთ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული თეორიული მიდგომების გამოყენება ქართული ლიტერატურის ანალიზისთვის) და კომპეტენციებს / ღირებულებებს („აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნება, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა“), რომელიც სტუდენტებს ექნებათ გამომუშავებული პროგრამის დამთავრებისას.

პროგრამის მიზნების აღწერა ასახავს მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ნათლად მიუთითებს კურსდამთავრებულთა შესაძლებლობებზე, ჩართონ ადგილობრივი ლიტერატურათმცოდნეობა მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის უფრო ფართო კონტექსტში, ეს უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, ინტერდისციპლინურ დიალოგს საერთაშორისო დონეზე და, მეორე მხრივ, კრიტიკული აზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებას, ტექსტის რედაქტირების და გამოცემის ინოვაციური მეთოდების დანერგვით. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელმა გაგვიზიარა თავისი შეხედულება პროგრამის სოციალური ფუნქციების შესახებ. მისი გადმოსახედიდან, პროგრამა აფართოებს სტუდენტების ხედვას, ანახებს მათ ლიტერატურის პოტენციალს დღევანდელ სამხაროში და ყურადღებას ამახვილებს მის კულტურათაშორის განზომილებაზე. ცოტა საკვირველია, რომ პროგრამაში ცალკე მხოლოდ მეორე მოდულის მიზნებია წარმოდგენილი, ხოლო პირველი მოდულის მიზნები არა.

პროგრამის მიზნები შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს წვლილს საზოგადოების ინტელექტუალურ, ეთიკურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე მის სტრატეგიულ გეგმას, განსაკუთრებით N2 მიზანს, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, რაც შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ სამაგისტრო პროგრამა ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე ტარდება ორ კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

თუმცა, შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა მისი მოთხოვნა და საჭიროება არ არის გათვალისწინებული პროგრამაში. მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკული მიმოხილვის უნარს, როგორც ჩანს, დამსაქმებლები განიხილავდნენ, როგორც ერთ-ერთ ძირითად კომპეტენციას, რომელსაც კურსდამთავრებულებისგან მოელიან თუმცა, პროგრამის მიზნებს შორის არ არის ნახსენები შესაბამისი კომპეტენცია. მართალია, ამკარაა, რომ პროგრამის მეორე მოდული უმეტესად ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია საგამომცემლო სახლებში, ხოლო პირველი მოდული უფრო ფოკუსირებულია აკადემიური პერსონალის შექმნაზე კვლევითი პროექტებისა და სკოლებისთვის, გაცილებით მეტად დადებით გავლენას იქონიებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებზე, თუკი ამ მოდულის შემთხვევაში მეტი ყურადღება გამახვილდება შრომის ბაზრის შედეგების ანალიზზე.

ინტერნაციონალიზაცია, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება პროგრამის მიზნების ერთ-ერთ ძლიერ მხარეს. ეს შეიძლება აღინიშნოს მიზნების ფორმულირების სხვადასხვა ნაწილში. უპირველეს ყოვლისა, აქ თვით შედარებითი ლიტერატურა იდენტიფიცირებულია, როგორც ინტერკულტურული კვლევის სფერო, შემდგომში მოხსენიებულია ევროპული თეორიული ტენდენციები, ასევე დასავლური თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნები, ხოლო ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში ლიტერატურათმცოდნეობის პერსპექტივა ასახულია პროგრამის მიზნებშიც. ყოველივე ეს კარგი მტკიცებულებაა იმისა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ინტერნაციონალიზაციის საკითხები

სამაგისტრო პროგრამა ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საგამომცემლო საქმე საჯაროდ ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამისად მისი მიზნების დეტალური აღწერა შეუძლია ნახოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. პროგრამის მიზნებს იცნობს

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ჩართულია პროგრამაში. პერსონალის რამდენიმე წევრმა შეძლო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნების დასახელება (უახლეს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ქართული ლიტერატურის ანალიზი და ამგვარად ქართული ლიტერატურის ხელმისაწვდომობისა და აღწმის უზრუნველყოფა დასავლური აკადემიური საზოგადოებისთვის; კურსდამთავრებულის მომზადება სარედაქციო და საგამომცემლო საქმიანობისთვის) და დაადასტურეს კურსების ლოგიკური კავშირი პროგრამის მიზნებთან ხაზი გაუსვეს ისეთ შედეგებს, როგორებიცაა თეორიის გამოყენება და პრაქტიკა და ლიტერატურული ტექსტის ანალიზი, თუმცა, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ მოსაზრებები პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით, რაც ნამდვილად შეიძლება წარმოადგენდეს პრობლემას შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები და სილაბუსები (დანართი #2);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 6 (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია; სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის მიზნები მეტწილად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ითვალისწინებს სასწავლო სფეროს, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას; ისინი რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავენ ცოდნის ერთიანობას, „საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული, მეთოდოლოგიითა და უნარებით“, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს კურსდამთავრებულ სტუდენტებში. პროგრამის აღწერილობით დასახული მიზნები ასევე ასახავს პროგრამის წვლილს „აკადემიური სფეროს განვითარებაში და ცოდნის გაცვლასა და გავრცელებაში აკადემიურ საზოგადოებასა და უფრო ფართო წრეებში“, ასევე მიზნად ისახავს „ინტეგრაციას კავკასიის კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში. სწავლობს“.

პროგრამის მიზნები შესაბამება უსდ-ის, მისი ფაკულტეტისა და სტრუქტურული ერთეულის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას; როგორც გასაუბრებებმა აჩვენა, შრომის საერთაშორისო ბაზრის ადგილობრივი მოთხოვნები, ტენდენციები და საჭიროებები არის უმთავრესი მნიშვნელობის, რადგან პროგრამა ინტეგრირებულია ბიბლიის შემსწავლელთა საერთაშორისო საზოგადოების ფარგლებში. შესაბამისად, განსაზღვრული მიზნები ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, აქცენტი კეთდება სასწავლო სფეროს თავისებურებებსა და განათლების დონეზე; მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტებში; მისი მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და მას იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები.

პროგრამის ყველაზე ძლიერი მხარე მისი ინტერნაციონალიზაციაა: თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართულნი არიან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, ეს ფაქტი არ არის მითითებული პროგრამის აღწერაში. პროგრამის აღწერილობისა და ამოცანების ნაკლოვანებებია: ა) ის ფაქტი, რომ პროგრამა ორ მოდულად (მოდული – შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია და II მოდული – შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია) იყოფა, პირველად მხოლოდ სწავლის შედეგების აღწერის ბოლოს არის მითითებული;

შესაბამისად, არ არის ასახული პროგრამის მიზნებში; ბ) პროგრამის ერთ-ერთი მიზანია „ღრმა და სისტემატური ცოდნის მიწოდება შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიაში“. რეალურად კი პროგრამა ორიენტირებულია შუა საუკუნეების ქართულ და სომხურ ფილოლოგიაზე და მის ურთიერთობაზე შუა საუკუნეების ბიზანტიურ ფილოლოგიურ და კულტურულ გარემოსთან;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანი სასწავლო დარგის შესაბამისია. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 საფეხურის მოთხოვნებს.

მიზანი, ბუნებრივ და ლოგიკურ კავშირშია ამ პროგრამის შინაარსთან და შედეგებთან, ითვალისწინებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის მიზნები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის ამოცანებიც ასევე მეტწილად შეესაბამება შრომის ბაზარს და მიღწევადია.

პროგრამის მიზნების განსაზღვრისას ხაზგასმულია სწავლის მესამე დონის სპეციფიკა - კვლევის უნარების განვითარება და მისი განხორციელებით დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა, რის გამოც პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდის ხელშეწყობასა და დარგში ახალი ცოდნის შექმნასა და განხორციელებაზე.

პროგრამების მიზნები ასახავს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს. ის ითვალისწინებს დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

- დოქტორანტმა სიღრმისეულად უნდა შეისწავლოს ფილოლოგიის დარგისა და კვლევისთვის შერჩეული ფილოლოგიური დარგი, გამოიყენოს ფუნდამენტურ ცოდნაზე დამყარებული კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები.
- არჩეულ ფილოლოგიურ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე დამოუკიდებელი ან კოლექტიური სამეცნიერო კვლევების შესაბამისი კვლევის მეთოდებით ჩატარების უნარის გამომუშავება;
- დოქტორანტის მხარდაჭერა მისი კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ინტეგრაციაში; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება; განავითაროს მაღალი სამეცნიერო ღირებულებები, შეიძინოს კვლევით პროცესში პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის ვალდებულება და უახლესი სამეცნიერო ცოდნის გაცვლისა და გავრცელების პასუხისმგებლობა, რაც უნივერსიტეტის ე.წ. მესამე მისიაა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა დოქტორანტების ჩართულობა, პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასახავს პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის ასპექტების რეალიზებას.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების გაცვლითი კვლევითი ვიზიტები Erasmus + პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, რისთვისაც ისინი კონკურსის წესით შეირჩევიან, ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. სტუდენტების გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებგვერდზე (<https://www.tsu.ge/ka/foreign-relations>).

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს კურსდამთავრებულთა წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. უახლესი სამეცნიერო ცოდნის გაზიარებისა და გავრცელების პასუხისმგებლობა დაკავშირებულია დარგის და საზოგადოების განვითარებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა პროგრამის მომზადებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კოორდინირებული საქმიანობა.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებაც არის გამიზნული.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის ვებგვერდი;

სადოქტორო პროგრამის აღწერა;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები - შეთავაზებები, რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია -

ბაკალავრიატი) რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა))

რეკომენდაციები: რჩევები:

პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: რჩევები:

პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საგამომცემლო საქმე; მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნების მოდიფიცირებისას, რეკომენდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინება;
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გაზიარდეს არამხოლოდ სასწავლო პერსონალს, არამედ სტუდენტებთან, რათა მათ შეძლონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

რჩევები:

პირველი მოდულის მიზნების ცალკე აღწერა;

პროგრამა 6 (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის

ფილოლოგია, მაგისტრატურა) რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, რომ ინტერნაციონალიზაცია უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პროგრამის მიზნებში;

პროგრამა 7 (ფილოლოგია, დოქტორანტურა))

რეკომენდაციები:

რჩევები:

მეტი ძალისხმევა შეიძლება განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მათ შორის, სადოქტორო კომიტეტებში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მეცნიერთა ჩართვით, სადაც მათი გამოცდილება შესაბამისი ექნებათ;

შეფასება⁶

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერება (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება ; მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო- საგამომცემლო საქმე; მე-2 დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია; მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია (დოქტორატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

⁶ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამების მიზნებიდან და შეესაბამება სტანდარტს, უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს ფილოლოგიური დარგების ცოდნას, უნარ-ჩვევებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის ბოლოს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუებმა დაადასტურა აკადემიური პერსონალის, გარკვეულწილად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში, რამაც განსაზღვრა მათი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამების სწავლის შედეგები არსებითად ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს, ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დამსაქმებლების მეტი ჩართულობა.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას, სადოქტორო პროგრამა ამზადებს დამოუკიდებელ მკვლევარს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების კვლევის შედეგები უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ფილოლოგის მომზადებას სწავლების დონეების შესაბამისად, რომლის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს ფილოლოგიური ცოდნის გავრცელებასა და განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და მოიცავს როგორც ზოგად, ტრანსფერულ უნარებს, ასევე პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის დონეს, შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკას და მინიჭებულ კვალიფიკაციას (ქართული ფილოლოგია). პროგრამა შემუშავებულია ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით და სათანადოდ არის ჩამოყალიბებული ამ მახასიათებლების საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ლოგიკურად და წარმოაჩენს რა ცოდნას, კომპეტენციებს და უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას განავითარებს პროგრამა. საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას: ა) ბაკალავრიატის განათლებით უზრუნველყოფილი ცოდნის, ანალიზისა და კრიტიკული უნარების მიღწევა, ბ) პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის შესაბამისი ცოდნის შექმნა და უნარების განვითარება, რათა გააგრძელონ სწავლა და გ) დასაქმების რეალური შესაძლებლობის შექმნა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო დარგის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. ისინი აღწერენ პასუხისმგებლობის გრძნობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები მიიღებენ პროგრამის დასრულებისას, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს (NQF) დარგობრივი მახასიათებლით შემუშავებული კვალიფიკაციების საფუძველზე.

პროგრამის შინაარსი და, შესაბამისად, მიზნები და შედეგები საკმაოდ მოცულობითია. პროგრამის მიზანიც და შედეგებიც მოიცავს ქართული ლიტერატურის პერიოდების ცოდნას და მათ სპეციფიკურ მახასიათებლებს (მიზნები - მოსწავლე ჩამოთვლის და განიხილავს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითად მიმართულებებს, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის საკითხებს. XIX საუკუნის ქართული

დამწერლობა), რაც ასევე აისახება შესაბამის შედეგებში (აღწერს... XIX საუკუნის ქართული მწერლობის საკითხებს; აღწერს და აანალიზებს მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად საკითხებს, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ძირითად მიმართულებებს და მათ კავშირს მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების განვითარების სისტემასთან; განმარტავს და გადმოსცემს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითად მიმართულებებს, რომანტიზმისა და რეალიზმის ქართულ საკითხებს, XIX საუკუნის ქართულ მწერლობას. საბაზო საფეხურზე, სტუდენტი აანალიზებს და აყალიბებს მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად საკითხებს (იხ. რეკომენდაცია ქვესტანდარდი 1.4-ისთვის).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პროგრამის პერსონალი ეხმარება სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დარგობრივ პროექტებში და აქტივობებში, რომლებიც ემსახურება უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ყოველწლიურად არიან ჩართულნი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ქართული ენის ინსტიტუტის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ლიტერატურულ საღამოებსა და სამეცნიერო სემინარებში. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები სტუდენტურ ჟურნალში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამის მიზნებიდან და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტს, საგნის სამიზნე ნიშნულს, მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუებმა დაადასტურა აკადემიური პერსონალის, გარკვეულწილად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, რამაც განსაზღვრა მათი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება.

გასაუბრებისას გამოიკვეთა დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამა ქმნის შესაძლებლობას, გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა შემდეგ საფეხურზე, ასევე შეიტანოს წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიღებული ცოდნის გავრცელებით, რათა დაამკვიდროს მულტიკულტურული ღირებულებები. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების გააზრებას, მათ შესწავლას თანამედროვე ლინგვისტური კვლევის მეთოდების გამოყენებით, აკადემიური სტანდარტების დაცვით, საპირისპირო მოსაზრებების განხილვაზე დაყრდნობით, საკუთარი მიდგომების ხაზგასმით, აძლევს სტუდენტს სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და სპეციალიზებულ თუ მომიჯნავე დარგებში დასაქმების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დაბალანსებულად აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. პროგრამის კურსდამთავრებული აღწერს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ თავისებურებებს, ქართული ენის ქვესისტემებს, მსჯელობს წერილობით წყაროებზე, მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, განსაზღვრავს სალიტერატურო ენის ნორმების მნიშვნელობას. ენის ფუნქციონირებისა და განვითარების მიზნით, ეძებს, ამუშავებს

ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ რესურსებს, ეცნობა და სრულყოფილად ამუშავებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, კომპლექსური მიდგომით, კრიტიკული ხედვით; დრმად აანალიზებს ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხებს, ეძებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს, აყალიბებს და წარმოადგენს დასაბუთებულ დასკვნებს (ზეპირი და წერილობითი ფორმით), გეგმავს და იყენებს ლინგვისტური კვლევის უახლეს მეთოდებს, დამოუკიდებლად ქმნის სამეცნიერო ნაშრომს აკადემიური ეტიკით, პროფესიული პასუხისმგებლობით; , ხელს უწყობს დარგობრივი ცოდნის განვითარებას; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარით, ჩართულია თანამშრომლობით სწავლასა და კვლევაში, ხელს უწყობს დარგობრივი ცოდნის განვითარებას პროფესიული პასუხისმგებლობით, მონაწილეობს თანამშრომლობით სასწავლო და კვლევით გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებით, გამოხატავს პატივისცემას ქართული სახელმწიფო ენისა და სხვა ქართველური ენების მიმართ და ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნებისადმი. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად აუცილებელია უცხო ენის დონის ამადლება.

ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ადეკვატურია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სირთულის მეშვიდე საფეხურისთვის. მათი მეშვეობით პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ქართული ენათმეცნიერების მასგისტრი-სპეციალისტის მომზადებას, რომლის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს ფილოლოგიური ცოდნის გავრცელებასა და განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ფილოლოგია -მაგისტრატურა

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შეესაბამება მაგისტრატურის, ფილოლოგიის მიმართულებას. პროგრამა შემუშავდა ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით და სათანადოდ არის ფორმირებული ამ მახასიათებლების საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ერთიანი ფორმით, ისევე როგორც წარმოდგენილია თითოეული მოდულის ინდივიდუალური შედეგი (მოდული 1: ძველი ქართული ლიტერატურა; მოდული 2: ახალი ქართული ლიტერატურა; მოდული 3: თანამედროვე ქართული ლიტერატურა, და მოდული 4: ფოლკლორი); ასევე ასახულია თუ რა ცოდნას კომპეტენციასა და უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას ავითარებს პროგრამა.

თითოეული მოდულის დასრულების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს, რომ გაიგოს ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის კონკრეტული პრობლემები, მოძებნოს გზები მათ გადასაჭრელად, განავითაროს ორიგინალური იდეები, შეიმუშავოს შესაძლებლობა კვლევის სტრატეგიული დაგეგმისთვის, შექმნას სამეცნიერო ნაშრომები აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, რაც წარმოადგენს კურსდამთავრებულის წარმატებული დასაქმების წინაპირობას; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და განაგრძოს სწავლა შემდეგ საფეხურზე; საბოლოო მიზნების მისაღწევად გამოყენებული სწავლებისა და კვლევის კომპონენტები უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას, კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმებაზე სათანადო ყურადღების გამახვილებით.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. უფრო კონკრეტულად, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული... „საფუძვლიანად განიხილავს დარგის სამეცნიერო ლიტერატურის ლექსიკონებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს ქართულ ან/და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე, განიხილავს განსხვავებულ მოსაზრებებს დარგის პრობლემურ საკითხებზე, სამეცნიერო ლიტერატურასა და თეორიებში“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა B1 დონე ენების ევროპული ჩარჩოს სტანდარტის (CEFR) მიხედვით, რომელიც ითვლება საკმაოდ დაბალ საფეხურად მაგისტრატურისთვის, მიუხედავად იმისა თუ რომელ ენაზე (ინგლისური/გერმანული/ფრანგული), საერთო დატვირთვით 60 აკადემიური საათით, რაც

მოცემულ ფორმატში ვერ უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის განვითარებას (იხ. რეკომენდაცია ქვემოთ, ქვესტანდარტი 2.1.).

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარე მონაწილეობდა და ჩართული იყო მის შემუშავებაში. თანამშრომლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მონაწილეობა; მათ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ .

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამა განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, რომელიც ხორციელდება პერიოდულად, დარგის სპეციფიკის მიხედვით და ითვალისწინებს სწავლის შედეგების სამ ღონეს (შესავალი, პრაქტიკა და ოსტატობა).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამის მიზნებიდან და შეესაბამება სტანდარტს, უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუებმა დაადასტურა აკადემიური პერსონალის, გარკვეულწილად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, რამაც განსაზღვრა მათი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება.

გასაუბრებისას გამოიკვეთა დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიის სპეციალისტებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამა ქმნის შესაძლებლობას, სტუდენტმა გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე, ასევე შეიტანოს წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღებული ცოდნის გავრცელებით. პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების გააზრებას, მათ შესწავლას თანამედროვე ლინგვისტური კვლევის მეთოდებით, აკადემიური სტანდარტების დაცვით, საპირისპირო მოსაზრებების განხილვაზე დაყრდნობით, საკუთარი მიდგომების ხაზგასმით, უზრუნველყოფს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას სადოქტორო დონეზე, სპეციალიზებულ და მომიჯნავე დარგებში დასაქმებას, ენათმეცნიერების სფეროში განათლების უწყვეტ გადრმავებას და პროფესიული დონის ამადლებას უახლესი ინფორმაციის ავტონომიური მოძიებით და საერთაშორისო თუ ადგილობრივ აკადემიურ წრეებთან პროფესიული კონტაქტების დამყარებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა თანამედროვე და გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლესი თეორიებისა და მეთოდების გაანალიზების შესაძლებლობას, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამოყენებითი ასპექტების გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში; უზრუნველყოფს თანამედროვე ენათმეცნიერთა ფართო სპექტრის ფორმირებას, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სტრუქტურის ენების ტიპოლოგიურ კვლევას სინქრონული ან დიაქრონიული პერსპექტივით და იკვლევს ენების ისტორიულ ურთიერთობებს მიკრო და მაკრო ნათესაობითი თვალსაზრისით.

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მეშვიდე დონეს. მათი მეშვეობით პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი ენათმეცნიერის მაგისტრ-სპეციალისტის მომზადებას, რომლის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს ფილოლოგიური ცოდნის გავრცელებასა და განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ვიზუალურად არის ნაჩვენები პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკაში. ისინი მოიცავს ცოდნას (ქართული ლიტერატურის ლიტერატურული მოძრაობების, კრიტიკული სკოლებისა და ტენდენციების შესახებ), უნარებს (კვლევის მეთოდების გამოყენებისა და ლიტერატურული ტექსტების ანალიზის ან ტექსტის რედაქტირების სტრატეგიების გამოყენებისა და წიგნის ბაზრის ანალიზის უნარს) და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას (დროის მენეჯმენტი, ტოლერანტობა, აკადემიური ეთიკა), რაც გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსით. თუმცა, ზოგიერთმა ფორმულირება შეიძლება საჭიროებდეს გარკვეულ ცვლილებებს. მაგალითად, ცოდნისა და გაგების ქვეშ იკითხება, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ შეადარონ და ინტერპრეტაცია გაუკეთონ ტექსტებს, რომლებიც რეალურად მიეკუთვნება უნარების განყოფილებას და არა ცოდნისა და გაგების განყოფილებას.

ყველა აღწერილი შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. და მაინც, ოდნავ უფრო კონკრეტული, მარტივი და მოკლე ფორმულირებები მეტად ხელსაყრელი იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის. პროგრამის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონეს, რაც ამკარაა იმის გათვალისწინებით, რომ სწავლის შედეგების აღწერაში გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „სიღრმისეული“, „სისტემატური“ და „კრიტიკული“. პროგრამის შედეგები ასევე შეესაბამება ლიტერატურისა და ენათმეცნიერების (0232) დარგის დეტალურ აღწერებს, კერძოდ, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობასა (0232.2.6.) და ფილოლოგიას (0232.1.3.), რომლებიც წარმოადგენს რეალურ მისანიჭებელ კვალიფიკაციას მოდულის მიხედვით. ვინაიდან ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებელი ამ წუთებში შემუშავების პროცესშია, გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის შედეგების შესაძლო ცვლილებების პერსპექტივა.

პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულობა დასაქმების მოთხოვნებთან მიმართებით არ არის საკმარისად დამაჯერებელი, რადგან შრომის ბაზრის კვლევის ზოგიერთი შედეგი (ლიტერატურული ტექსტის კრიტიკული მიმოხილვის უნარი) არ არის გათვალისწინებული პროგრამაში.

თუმცა, ბევრი სხვა კომპეტენცია (წერის უნარები, კონტექსტუალიზაცია, რედაქტირება, ტექსტის ანალიზი და ა.შ.), რომლებიც დასაქმებულებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, შეტანილია პროგრამის სწავლის შედეგებში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული კომპონენტი გარკვეულწილად არ არის წარმოდგენილი პროგრამაში (განსაკუთრებით 1 მოდულში), პროგრამის შედეგები არსებითად შეესაბამება ლიტერატურათმცოდნეობის თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც ხსნის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (86%, 73% კურსდამთავრებულებისა დასაქმებულნი არიან ლიტერატურის დარგში). ეჭვგარეშეა, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურის დონეზე მას შემდეგ, რაც მიაღწევენ პროგრამის შედეგებს. თუმცა, მათი შემდგომ საფეხურზე გადასვლის მაჩვენებელი მაინც დაბალია (21%).

სამაგისტრო პროგრამა „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საგამომცემლო საქმის“ სწავლის შედეგები არის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების ლოგიკური გაგრძელება შინაარსის და სირთულის მიხედვით. ამგვარად, თანმიმდევრულობის გარდა, სხვა მიზეზიცაა, რის გამოც ისინი ერთ კლასტერშია დაჯგუფებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები და სილაბუსები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა
- ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ დონეზე პროგრესის ინდიკატორი;
- გასაუბრებების შედეგები

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 6 (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია; სამაგისტრო

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და შინაარსით გათვალისწინებულს და შეესაბამება სასწავლო დარგის სპეციფიკას. ისინი შეესაბამება: ა) კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მინიჭებულ კვალიფიკაციას; ბ) პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნსა და კურსდამთავრებულებს საშუალება აძლევს განაგრძონ სწავლა შემდეგ საფეხურზე; გ) სასწავლო დარგის თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები მიუთითებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიაზე, რასაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. ისინი ეფუძნება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს (NQF) მე-7 დონეს და ამ დონის შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს.

გასაუბრებებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება იყო თანამშრომლობითი პროცესი და ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/კვლევითი და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები); ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების (როგორცაა ბიბლიის კვლევების საერთაშორისო საზოგადოება) ინტერესები, რომლებთანაც პროგრამა თანამშრომლობს.

თვითშეფასების ანგარიშმა მოგვანოდა შემდეგი რიცხვები: სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი 70%; კურსდამთავრებულთა დასაქმება – 100%; მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი - 81%; შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი – 15%. გასაუბრებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სწავლის რეალური შედეგები არა მხოლოდ ემთხვევა პროგრამის აღწერილობის ფაილში განსაზღვრულ შედეგებს, არამედ შერწყმულია კვლევის შედეგებთან და წარმოადგენს საერთაშორისო პროექტების ნაწილს; თუმცა, სამაგისტრო ნაშრომების თემები შემოიფარგლება ბიბლიის შემსწავლელი სფეროთი; პროგრამის თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ პროექტს აფინანსებს ფონდი რუსთაველი, ხოლო მათი კვლევითი სტატიები ქვეყნდება დარგის პრესტიჟულ რეცენზირებად ჟურნალებში.

პროგრამის სწავლის შედეგების ნაკლოვანებებია: ა) სწავლის შედეგების აღწერილობაში არ არის მინიშნება პროექტის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, ხოლო რეალურად სწავლების მიზნებიც და სწავლის შედეგებიც განპირობებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციით; ბ) როგორც პროგრამის აღწერილობიდან ჩანს, სწავლის შედეგები შემოიფარგლება მხოლოდ „ქართულ-ბერძნულ-სომხური ენობრივი კონტაქტებით“, ხოლო კურსდამთავრებულს

„გააზრებული აქვს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, ქრისტიანული კავკასიის ზოგადი ლიტერატურული, კულტურული, რელიგიური საკითხები.“ ანუ, პროგრამა უფრო მეტად არის კონცენტრირებული კავკასიის ქრისტიანების კულტურულ ურთიერთობებზე ბიზანტიასთან, და არა უფრო ფართო სურათზე, რომელიც ასახავს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ზოგად მიმოხილვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.
- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამის მიზნებიდან და შეესაბამება სტანდარტს, უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუებმა დაადასტურა აკადემიური პერსონალის, გარკვეულწილად დოქტორანტების, კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში, რამაც განსაზღვრა მათი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება.

პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და რეალიზებას, რაც სრულად შეესაბამება მესამე საფეხურის სწავლის მოთხოვნებს. დოქტორანტს მოეთხოვება შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული მიდგომა, შეაფასოს სხვათა მეცნიერული მოსაზრებები და ამის საფუძველზე შექმნას ახალი ცოდნა, დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეძლოს ახალი იდეების გენერირება, დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეიტანოს წვლილი. უზრუნველყოს სამეცნიერო ცოდნის გავრცელება, აკადემიური ეთიკის დამკვიდრება და ღირებულებების დამკვიდრების ინოვაციური მეთოდებისა და გზების შემუშავება. ეს მოთხოვნები წარმოადგენს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის, როგორც კვლევაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილს.

პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს, რადგან ნათლად აღწერს დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების მაღალი ხარისხის ჩართულობის შესაძლებლობას გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პროექტებში.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა არსებითად ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს. შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება აკადემიური სივრცეა, სადაც კურსდამთავრებულები ინტენსიურად საქმდებიან.

გასაუბრებისას პროგრამის/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბევრმა კურსდამთავრებულმა დაამტკიცა თავისი კომპეტენცია აკადემიურ სივრცეში ჩართვით, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობით, საგრანტო კონკურსების გამარჯვებით და სასწავლო პროცესებში მონაწილეობით. გასაუბრებისას დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მონაწილეობენ საგრანტო პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში, იწვევენ სპეციალისტებს და ატარებენ სემინარებს სხვადასხვა კურსებში, ქმნიან რიდერებს, მონაწილეობენ ელექტრონული რესურსების შექმნაში, სასწავლო და სამეცნიერო მასალების გაციფრულებაში და ემსახურებიან დარგის განვითარებას საკუთარი მრავალფეროვანი კვლევებით (მაგ. კორპუს ლინგვისტიკის, შედარებითი კვლევების, ბიბლიის შესწავლის... მიმართულებით).

მეორე მხრივ, აკადემიური სივრცის მიღმა, გასაუბრებისას გამოიკვეთა დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხელდასაყრდენი და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმირებულია ცოდნა-გაგება, უნარი და ავტონომია-პასუხისმგებლობის ფარგლებში. შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტებით, მაგრამ სჯობს ერთმანეთისგან განვასხვავოთ ცოდნა-გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა-ავტონომია და სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ ჩამოვყალიბოთ.

ფილოლოგიური კვლევის მიმართულებები მრავალფეროვანია, შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს მუშაობას სამეცნიერო მეტა-ენით, ტერმინოლოგიური აპარატით, სამეცნიერო ბიბლიოგრაფიით, არჩეული კვლევის სფეროს შესაბამისად; თეორიული და კვლევის მეთოდების სიღრმისეულ და არგუმენტირებულ აღწერას, უახლეს კონცეფციებს; დარგისა და კვლევის სფეროს ინტერდისციპლინარულ მიდგომების კვლევითი უნარების პრაქტიკულ რეალიზებას, რაც გამოიხატება კვლევითი და ანალიტიკური მიდგომით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განხორციელებული სამეცნიერო სიახლეების შემცველი ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომის (პუბლიკაცია, სადოქტორო ნაშრომი და ა.შ.) შექმნით. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე იძლევა შესაძლებლობას დაწეროს კვლევისა და სწავლების ინოვაციური მეთოდები, გამოიყენოს სწავლების თანამედროვე სტრატეგიები და განახორციელოს დარგის ინტერდისციპლინური ასპექტები.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს ასევე აქვს პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მაღალი ხარისხი, რაც შემდეგნაირად არის აღწერილი:

- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მაღალი პასუხისმგებლობით აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს საკუთარი და სხვების სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს;
- არა მხოლოდ იძენს და აგროვებს ცოდნას, არამედ გადასცემს მას სხვებსაც; ავრცელებს და პოპულარიზაციას უწევს საზოგადოებაში ჰუმანიტარული, კერძოდ, ფილოლოგიური კვლევების მიღწევებს.
- სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში მას შეუძლია მიიღოს განსხვავებული აზრი და ოპონენტის არგუმენტირებული პოზიცია; ადეკვატურად იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიებსა და ტაქტიკას პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად; კვლევის პროცესში მკაცრად იცავს პროფესიონალური ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, აზროვნებს შემოქმედებითად და წარმოქმნის ახალ იდეებს; ესმის უწყვეტი განათლების მნიშვნელობა, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს სამეცნიერო პროფილი და მოახერხოს ახალ გარემოებებთან ადაპტირება

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მერვე საფეხურის სირთულეს. მათი მეშვეობით პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი ფილოლოგ-დოქტორის მომზადებას, რომლის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს ფილოლოგიური ცოდნის გავრცელებასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია -

ბაკალავრიატი) რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა ფილოლოგიურ სპეციალობებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარება B2 დონემდე ძირითადი კურსების საშუალებით, რათა გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და საერთაშორისო დონეზე სხვა აქტივობებში;

რჩევები: გაიზარდოს საკონტაქტო საათები უცხო ენის 5 კრედიტიან კურსებზე 1 და 2 (ინგლისური/გერმანული/ფრანგული), CEFR-ის საფუძველზე სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარების უზრუნველსაყოფად;

პროგრამა 4 ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება ; მაგისტრატურა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას აუცილებელია სახელმწიფო ხედვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები ადვილად მოერგონ სამუშაო ადგილებს, გამოიყენონ პროფესიული ცოდნა, წარმართონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეფექტურად და შექმნან თანამშრომლობითი გარემო. თანამედროვე ციფრული ერა

ფილოლოგიის სპეციალისტებს სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ადეკვატური სწავლის შედეგები;

რჩევები:

პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და

სარედაქციო-საგამომცემლო საქმე;)

1. უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანმიმდევრულობა, უფრო პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ფოკუსირებით;

რჩევები:

1. განახლდეს პროგრამის შედეგები ისე, რომ ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა უფრო ღიფერენცირებულად იყოს აღწერილი;
2. პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად და კონკრეტულად, რათა ისინი უფრო სასარგებლო და მოსახერხებელი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
3. პროგრამის შედეგები შეიცვალოს ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, მისი ოფიციალური ამოქმედებისთანავე;

პროგრამა 6 (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია; მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ პროგრამას ჰქონდეს უფრო ფართო სფერო, რათა გასცდეს ქართულ-ბერძნულ-სომხური ენების ფარგლებს და უკეთესად მოიცვას ფილოლოგიის სფეროს უფრო ფართო საკითხები. ამგვარად, შესაბამისი ასპექტები უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში;

რჩევები:

პროგრამა 7 (ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დამსაქმებელთა ინტერესების მეტად გათვალისწინება, რაც იძლევა დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობის გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის ადეკვატურ სწავლის შედეგებს.

რჩევები:

უსდ-მ სჯობს ერთმანეთისგან განახსვავოს ცოდნა-გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა-ავტონომია და სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს.

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგები	1.2	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
---	-----	--	--	---	------------------------------

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართველური ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მე-2 დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია (დოქტორატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისგან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, მისი წესისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე ეყრდნობიან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სათანადო პროცედურების მკაფიო ოქმებს. შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული სხვადასხვა როლის მქონე წევრებით, რათა შესწავლილ იქნეს ყოვლისმომცველად. მეთოდები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, ყოველთვის უაღრესად შესაბამისია. გამოხმაურების სქემები საკმარისი და ძალიან კარგადაა მორგებული.

თითოეული სწავლის შედეგისათვის პროგრამებს აქვთ შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას, მონიტორინგს და შედარებას განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან. ასევე პროცედურას, რომელიც მოიცავს შეფასების

შედეგებს პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც ჩანს, შემუშავდა აკადემიური პერსონალის ჩართულობით, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს იმ შედეგების მითითებით, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ კურსებს (ანალიტიკური უნარები). აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღწერა თავისი როლი ზოგად პროცესში და აჩვენა მზადყოფნა შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება პროგრამის სფეროს სპეციფიკური პერიოდულობის შესაბამისად. სათანადოდ არის გათვალისწინებული სწავლის სფეროს თავისებურებები და განათლების დონე. შეფასების ფორმები და მეთოდები, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი, გამართულია. თუმცა, ვერც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა და ვერც დამსაქმებლებმა ვერ შეძლეს მათთვის მნიშვნელოვანი სწავლის რომელიმე შედეგის იდენტიფიცირება. ეს გვიჩვენებს, რომ მეტი სამუშაოა ჩასატარებელი იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ამით სწავლის შედეგების შემუშავება იქცეს თანამშრომლობით პროცესად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- თვითშეფასების ანგარიში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ
- პროგრამების სილაბუსები
- პროგრამების სწავლის შედეგების რუქა
- უნივერსიტეტის გზამკვლევი სწავლის შედეგების შეფასების შესახებ
- სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი
- კომიტეტის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების შესახებ
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1

რეკომენდაცია(ები): რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული შვიდივე საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების მოთხოვნების შესაბამისად (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილება – „თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის შესახებ“). წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობდნენ და ჩართულები იყვნენ საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრები - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელები, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ფილოლოგიურ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების კომიტეტი შეიქმნა აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის #75/2018 დადგენილებით. კომიტეტმა განიხილა ფაკულტეტის შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის სხდომაზე შემუშავებული პროგრამების ცვლილებებისა და განვითარების პროექტი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, შეთანხმების შემდეგ, არსებული პროცედურების დაცვით დაამტკიცა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სილაბუსები მოიცავს საგნის/მოდულის სახელს, ავტორს, ლექტორს, საგნის სტატუსს, კურსის მიზნებს და მოსალოდნელ შედეგებს, კრედიტების რაოდენობას და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის მიხედვით (ECTS), მიღების წინაპირობებს, საგნის/მოდულის შინაარსს - სტუდენტის მიერ შესასწავლ ძირითად თემებს, საკითხებს, პრობლემებს), სწავლების/სწავლის კონკრეტულ მეთოდს თითოეული სასწავლო კურსისთვის, შეფასების კრიტერიუმებს, ძირითად და დამატებით ლიტერატურას და სხვა სასწავლო მასალას, დამატებით ინფორმაციას/პირობებს და ა.შ. ყველა სილაბუსი შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს წინასწარ განსაზღვრული მიზნების განხორციელება, მათგან მიღებული შედეგების მიღწევა და შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (გადაცემადი) კომპეტენციების განვითარება.

პროგრამების შინაარსი, სასწავლო სფეროს თავისებურებებიდან და პროგრამების დონეებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს; ბაკალავრიატის საფეხურზე უზრუნველყოფილია უცხო ენების სწავლება, მაგისტრატურის დონეზე უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება; ხოლო დოქტორანტურის დონე მოითხოვს უცხო ენის კომპეტენციას, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას (იხ. რეკომენდაცია ქვესტანდარტისთვის 2.1).

ექსპერტების შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამების სტრუქტურა და სილაბუსები შესაბამეა უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც ასევე მტკიცდება პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასების და განვითარების პროცედურებთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება საბაკალავრო დონის სასწავლო ციკლს და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან, აქედან 50 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო სავალდებულო ჰუმანიტარულ კომპეტენციას და არჩევით კურსებს; 120 ECTS განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (პროფილური) სპეციალობისათვის; სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ (როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ასევე უმაღლესი სასწავლებლის სხვა ფაკულტეტებზე) დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (სპეციალობა) 60 ECTS-ის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს დამატებით პროგრამას, 60 ECTS შეიძლება დაგროვდეს უმაღლეს სასწავლებლის ფარგლებში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს დაგეგმოს საკუთარი სასწავლო პროცესი და შეიძინოს ცოდნა და კომპეტენციები დამატებით სპეციალობაში პრეფერენციის მიხედვით. ინტერვიუმ გამოავლინა, რომ კურსის არჩევის პროცესში დაბრკოლებები შესაძლოა იყოს სასურველი კურსის წინაპირობა და სტუდენტების შეზღუდული რაოდენობა ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით. სტუდენტისათვის დამატებითი ვარიანტია გამოიყენოს 40 ECTS-მდე უცხო ენაზე და გაიუმჯობესოს ენობრივი კომპეტენცია და მიიღოს 10 ECTS ე.წ. თავისუფალი კრედიტი. პროფესიული ან პიროვნული განვითარებისთვის სტუდენტებს უნივერსიტეტის მასშტაბით შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი კურსი (მათ შორის უცხო ენა).

პროგრამის ყველა სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ერთგვაროვანია. გამოყოფილია 5 ECTS. ერთადერთი გამონაკლისი არის პრაქტიკული ტექსტოლოგია 10 ECTS-ით. როგორც თითოეულ სასწავლო კურსზე ინტერვიუებიდან ირკვევა, კრედიტების ფიქსირებული რაოდენობა არის შეზღუდვა, რომელიც აიძულებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, შეარჩიოს უფრო მნიშვნელოვანი თემები და გამოტოვოს ნაკლებად მნიშვნელოვანი. ისინი აცხადებდნენ, რომ გაუმკლავდნენ ამ შეზღუდვას დამატებითი კურსების წახალისებით. შესაბამისად, სასწავლო კურსებზე ECTS-ის განაწილების ერთიანი სისტემა, როგორც ჩანს, საკმაოდ მომგებიანია კურსების შინაარსისათვის. ერთიანი მიდგომა იქნა ნაპოვნი საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობაშიც: 60/65. მთელ პროგრამაში არის მხოლოდ სამი გამონაკლისი 45/80 თანაფარდობით. ასე რომ, საკმაოდ საეჭვოა, რომ კურსების თავისებურებები, მათი შინაარსი და სწავლის შედეგები რეალურად განიხილება საკონტაქტო საათების რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. უფრო მეტიც, 30 საათის მკაცრი გამოყოფა ლექციებისთვის თითქმის ყველა სასწავლო კურსზე მიუთითებს სწავლებასა და სწავლაში სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების თაობაზე გარკვეული ცნობიერების ნაკლებობაზე. რომ შევაჯამოთ ეს დაკვირვებები: საკონტაქტო საათების რაოდენობა, როგორც ჩანს, გაზრდილია, მაშინ როცა ფაქტიურად მაგისტრატურის დონის სტუდენტებს გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

თსუ-ს მიერ მოწოდებული სილაბუსებიდან გამომდინარე, ძალიან რთულია იმის დადგენა, შეფასებულია თუ არა თითოეული აკადემიური კურსის ყველა სწავლის შედეგი. სწავლის თითოეული შედეგის კორელაციის მოკლე აღწერა კურსით გათვალისწინებულ დავალებასთან უფრო საფუძვლიანს გახდიდა ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების ინსტიტუციური პროცედურა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სმსახურთან, პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ფილოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, კურიკულუმები, სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- გასაუბრებების შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა)

ორივე მოდულის ძირითადი სასწავლო დარგის აკადემიური კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; ფასდება თითოეული სასწავლო კურსის ყველა სწავლის შედეგი. თითოეული აკადემიური კურსის შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სილაბუსით განსაზღვრულ შინაარსს და სწავლის შედეგებს. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული კურსის თავისებურებებს, ხოლო საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსს და სწავლის შედეგებს;

სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსში მოცემული სხვა სასწავლო რესურსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ისინი შეესაბამება სწავლის სფეროში მიღწევებს, ითვალისწინებენ აგრეთვე უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში აკადემიური კურსის სპეციფიკის მიხედვით და უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

შეფასებისთვის წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებში გამოვლენილი ხარვეზები შემდეგია:
ა) ზოგიერთ სილაბუსში აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები არ შეესაბამება ყოველკვირეულ განრიგში ჩამოთვლილ ჩანაწერებს; ბ) ზოგიერთი სილაბუსით წარმოდგენილია არა მხოლოდ შერჩევითი ბიბლიოგრაფია, არამედ მთელი ბიბლიოგრაფიული მონაცემები; გ) სომხურ მოდულში რამდენიმე სილაბუსით წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია სომხურ ენაზე; ხოლო ენის ცოდნა არ არის განსაზღვრული, როგორც დაშვების წინაპირობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სილაბუსები,

ინტერვიუს შედეგები,

ბიბლიოთეკის ვებგვერდი.

აღწერა და ანალიზი - 7 (ფილოლოგია; მე-3 დონე)

პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგები დაფარულია სავალდებულო კურსებით (25 ECTS ოდენობით) და კვლევით კომპონენტებით, როგორცაა სამეცნიერო პროექტი 1, სამეცნიერო პროექტი 2 და სადოქტორო ნაშრომი. ამ უკანასკნელებს არ ენიჭებათ ECTS, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ამის საპირისპიროდ, 5 ECTS არის გამოყოფილი ასისტირებისთვის და 15 ECTS - სადოქტორო სემინარისათვის. ორივე მათგანი სავალდებულო კურსებს შორისაა ჩამოთვლილი. თუმცა არცერთი მათგანი არ არის აღწერილი სილაბუსში, მაგრამ მათი მოკლე აღწერა თან ერთვის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სადოქტორო სემინარის მიზნებსა და შინაარსზე (პრეზენტაციები ფილოლოგიის უახლეს მოვლენებზე), ასევე ასისტირებაზე ECTS-ის გაანგარიშების პრინციპებზე. თუ პროგრამის სავალდებულო კურსები/კომპონენტები აწვდის ძირითადად დოქტორანტისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, კვლევითი კომპონენტი მოწოდებულია მათ გასადრმაველად და გასაძლიერებლად.

როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების შინაარსი შეესაბამება მათ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებზე და პროგრამის სხვა კომპონენტებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა იყოფა 5-ზე (5, 10, 15). თუმცა, კურსების უმეტესობას ენიჭება 5 ECTS. კურსების უმეტესობაში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობაში გამოვლინდა უნიფიცირებული მიდგომა: 45/80 შესაბამისად 45/205. მთელ პროგრამაში არის მხოლოდ ორი გამონაკლისი 30/220 და 60/65 თანაფარდებით. საკონტაქტო საათების რაოდენობა გარკვეულწილად შეესაბამება დოქტორანტურის დონისთვის, რადგან დოქტორანტებს რეალურად გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ დამოუკიდებელი მუშაობისა და კვლევისთვის.

თსუ-ს მიერ მოწოდებული სილაბუსებიდან გამომდინარე, ძალიან რთულია იმის დადგენა, შეფასებულია თუ არა თითოეული აკადემიური კურსის ყველა სწავლის შედეგი. სწავლის თითოეული შედეგის კორელაციის მოკლე აღწერა კურსით გათვალისწინებულ დავალებასთან უფრო საფუძვლიანს გახდიდა ანალიზს.

კურსის ლექციები ასახავს შესაბამისი სფეროების უახლეს მიგნებებს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება, დონე) ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი

რეკომენდაციები:

უცხო ენები შეთავაზებულია არჩევით კომპონენტში და კონკრეტულ სემესტრში; ამ კურსების შეთავაზებისას, სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია უნდა იყოს მინიმუმ B2 დონე, რათა გაიგოს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შინაარსი რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და/ან გერმანულ ენებზე;

რეკომენდებულია ზოგიერთ კურსზე მითითებული ინგლისური, რუსული გერმანული და/ან ფრანგული სავალდებულო ლიტერატურა ქართულად თარგმნოს კურსის ავტორმა;

რჩევები:

- a) პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს დარგის ბევრ ახალ და საინტერესო დისციპლინას, ამგვარად სტუდენტი აღჭურვილია დარგის განვითარების თანამედროვე მიდგომებით. მნიშვნელოვანია, რომ კურსების ავტორებმა გაითვალისწინონ საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკა და სტუდენტს მიაწოდონ შესაბამისი მოცულობის ლიტერატურა, რადგან ზოგიერთი კურსი შეიცავს სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ დიდ ჩამონათვალს;
- b) სასურველია, სამეცნიერო ლიტერატურაში გათვალისწინებული იყოს სტუდენტის უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე;

პროგრამა 2 (დასახელება, დონე) ქართველური ენათმეცნიერება (მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

უმჯობესია, აკადემიური კურსებით მოწოდებული მასალის რაოდენობა, მისი გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა, შესაბამებოდეს კონკრეტულ აკადემიურ კურსზე მინიჭებულ კრედიტს და ამ კრედიტების შესაბამის ლექცია-სემინარულ საათებსა და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს;

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიის

გადახედვა და კურსის შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიტერატურის სიის შემცირება, სხვა კურსებში იგივე ლიტერატურის გამეორების თავიდან ასაცილებლად.

სასურველია, გადაიხედოს ზოგიერთი კურსის კრედიტების დატვირთვა, რათა სტუდენტებმა შეძლონ დიდი მოცულობის წიგნების დამუშავება, გაგება და ანალიზი; საგნისთვის კრედიტების მინიჭება მიზანშეწონილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო სამუშაოსა და პროგრამის დონის გათვალისწინებით.

პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მე-2 დონე)

რეკომენდაციები:

1. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს (მათი შინაარსი და სწავლის შედეგები) და ადეკვატურია სამაგისტრო დონისთვის, რაც უზრუნველყოფს მეტ დროს დამოუკიდებელი სწავლისთვის.

რჩევები:

1. კურსების სწავლის შედეგები შესწორდეს ისე, რომ ისინი უფრო დიფერენცირებულად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს და აღმოიფხვრას ფუნქციური დუბლირებები;
2. როგორც სალექციო საკითხავების ჩამონათვალში, ასევე სილაბუსების შინაარსში შევიდეს პირველადი წყაროები (ლიტერატურული ტექსტები);
3. სილაბუსებში მიეთითოს კორელაცია სწავლის შედეგებსა და დავალებებს შორის, სადაც ნაჩვენებია შეფასების რომელი მეთოდია გამოყენებული თითოეული სასწავლო შედეგისთვის;

პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ ზოგიერთ კურსში სომხურ ენაზე მოწოდებული სავალდებულო ლიტერატურა ითარგმნოს ქართულად კურსის ავტორების მიერ, რადგან პროგრამის სპეციფიკის მიუხედავად, ყველა სტუდენტს არ შეუძლია ჰქონდეს სომხური ენის შესაბამისი ცოდნა;

რჩევები:

უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები სწორად არის მითითებული სილაბუსებში;

მიზანშეწონილია, რომ სამაგისტრო დისერტაციის თემები არ შემოიფარგლოს ბიბლიის კვლევებით, არამედ გაფართოვდეს.

პროგრამა 7 (ფილოლოგია,

დოქტორი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებზე შემცირდეს საკონტაქტო საათები, რაც დოქტორანტებს მისცემს მეტ დროს დამოუკიდებელი მუშაობისა და კვლევისთვის.
.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი აკადემიური კურსი/საგანი	1.5	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შესაბამეობა მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი))		<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))		X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)		X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))		X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მაგისტრატურა)		<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების ადმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა)		<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია, X დოქტორანტურა)			<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, X დონე)		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობა ანა მითხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ანა მითხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ანა მითხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართველური ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაში დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამით დაშვების წინაპირობები უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამით მისაღები წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. ამ დებულების თანახმად, აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები, რათა ჩაირიცხონ საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე განაცხადის პროცედურები რეგულირდება უსდ-ს მიერ. ერთიანი ეროვნული გამოცდები უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე მიღებას. სამაგისტრო პროგრამების მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა, როგორცაა ინგლისური, გერმანული და ფრანგული B1 დონეზე. თუმცა, კომპეტენციის ეს დონე შეიძლება არ იყოს საკმარისი სამაგისტრო პროგრამის დასაუფლებლად.

პროგრამაზე დაშვების კიდევ ერთი შესაძლებლობაა სტუდენტების მობილობა სხვა უსდ-ებიდან ან იმავე უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში არსებული პროგრამებიდან. თსუ თითოეულ პროგრამაზე ინდივიდუალურად განსაზღვრავს მობილობის ვადებს, პირობებს და რაოდენობას, რაც აღწერილია რექტორის შესაბამის ბრძანებებში. თუმცა, სტუდენტების მობილობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე არ დაფიქსირებულია. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროგრამებზე შეიძლება დაშვებულ იქნენ აბიტურიენტები სხვა ქვეყნებიდანაც.

თსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანახმად, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტური კოჰორტა იგეგმება სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია რამდენიმე ფაქტორი, ესენია: განმცხადებლების რაოდენობა ბოლო წლებში, სტუდენტთა მობილობის შემთხვევები, უნივერსიტეტის რესურსები და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. ფილოლოგიის კლასტერში შემავალი სამაგისტრო პროგრამების ძალიან დაბალი რაოდენობის ჩარიცხვების მიუხედავად, თსუ-ს ადმინისტრაციამ დაადასტურა თავისი სურვილი, შეინარჩუნოს ეს პროგრამები, რადგან ისინი განიხილება, როგორც უნივერსიტეტის ფლაგმანი პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის უძველეს საგანმანათლებლო დარგს და ჯერ კიდევ ჩართულია ქართული საზოგადოების ღირებულებითი სისტემის აგებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები აღწერილია თითოეულ პროგრამაში. ვინაიდან ფილოლოგიის კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა ატვირთულია ვებ-გვერდზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ეს დაადასტურეს სტუდენტებმაც. გარდა ამისა, მათ განაცხადეს, რომ პროგრამისა და მასზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ ლექტორის ან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ აბიტურიენტებს ინფორმირების კიდევ ერთი კარგი გზა, როგორც ჩანს, არის ე.წ. „ღია კარის დღეები“ და საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც რეგულარულად იმართება შესაბამისი რეგისტრაციის პერიოდამდე და მის განმავლობაში.

აღწერა და ანალიზი - 1 (ქართული ფილოლოგია, 1 საფეხური)

ქართული ფილოლოგიის პროგრამაზე მიღების წინაპირობა საერთოა ქვეყნის ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის და მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. ის უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე დაშვებულ სტუდენტებს ჰქონდეთ მინიმუმ საბაზისო ცოდნა და უნარები საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად. იმის ცოდნა, თუ რომელი საგნების ტესტირება ხდება, დამოკიდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარე დღის წესრიგზე. ჩვეულებრივ, ისინი დაკავშირებულია პროგრამასთან შინაარსისა და სირთულის დონის თვალსაზრისით. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ყოველწლიურად 200-მდე სტუდენტი მოსალოდნელი და დაშვებული. გარე მობილობის მაჩვენებელი მერყეობს 2-დან 7-მდე (სულ 20 სტუდენტი ბოლო 5 წლის განმავლობაში). ბოლო 5 წლის განმავლობაში 17

სტუდენტმა ისარგებლა შიდა მობილობითაც.

აღწერა და ანალიზი - 2 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მე-2 დონე)

ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შინაარსისა და კომპეტენციების პროგრესირების თვალსაზრისით თანმიმდევრულია, რადგან ის გულისხმობს ბაკალავრის ხარისხს ქართულ ფილოლოგიაში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან სულ მცირე "მაინორს" ქართულ ფილოლოგიაში. გარდა ამისა, ქართულ ენაში კომპეტენცია მოწმდება სპეციალურ გამოცდაზე. პროგრამაზე ყოველწლიურად 2-8 სტუდენტი ირიცხება ისე, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ქართული ენათმეცნიერება მხოლოდ 24-მა სტუდენტმა შეისწავლა.

აღწერა და ანალიზი - 3 (ქართული ლიტერატურა, მე-2 დონე)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები წინაპირობები ძალიან ჰგავს ქართული ენათმეცნიერების პროგრამისას, მხოლოდ შემდეგი განსხვავებით: ქართული ენის გამოცდის ნაცვლად არის გამოცდა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ლოგიკურად მორგებულია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებზე. ასე რომ, ეს პროგრამა ასევე არის თანმიმდევრული პროგრამა, აგებული ქართული ფილოლოგიის კვალიფიკაციაზე. მიღებთა რაოდენობა ყოველწლიურად 12-დან 21-მდე მერყობს, სულ 84 სტუდენტის საერთო რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა B1 დონე ენების საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით, რაც განიხილება საკმაოდ დაბალ საფეხურად მაგისტრატურისათვის, განურჩევლად პროგრამის სწავლების ენისა. გარდა ამისა, არჩევით კომპონენტში შემოთავაზებული 5 ECTS კრედიტი უცხო ენის კურსები 1 და 2 (ინგლისური/გერმანული/ფრანგული), 60 აკადემიური საათის საერთო დატვირთვით, მოცემულ ფორმატში ვერ უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის განვითარებას

აღწერა და ანალიზი - 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა, მე-2 დონე)

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობები განსხვავდება ზემოთ აღწერილი სამაგისტრო პროგრამებისგან დარგების უფრო ფართო სფეროთი, რომლებიც უნდა იქნეს ათვისებული ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის შესწავლამდე. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, არამედ ისეთი სფეროები, როგორცაა სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმატიკა, განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა. აბიტურიენტი, ქართულ ფილოლოგიაში მაინორითაც კი დააკმაყოფილებდა წინაპირობებს. ეს სფეროები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მის სწავლის შედეგებთან და იძლევა ინტერდისციპლინურ მიდგომას ლინგვისტური პრობლემებისადმი. თუმცა, პროგრამის ასეთი ღიაობის მიუხედავად, ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებულთა საერთო რაოდენობა 12-ს არ აღემატება.

აღწერა და ანალიზი - 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მე-2 დონე)

სამაგისტრო პროგრამაზე ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა მიღების წინაპირობები საკმაოდ ფართოა, ასევე მოიცავს კვალიფიკაციას ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, ჟურნალისტიკაში, ინფორმატიკასა და განათლებაში ან/და მაინორს ქართულ ფილოლოგიაში. აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ლიტერატურის თეორიაში, რომელიც ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. წელიწადში დაახლოებით 10 სტუდენტი მიიღება, რაც სულ 42 სტუდენტს შეადგენს ბოლო 5 წლის განმავლობაში.

აღწერა და ანალიზი - 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში, მე-2 დონე)

სამაგისტრო პროგრამა ფილოლოგიური კვლევები შუასაუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში წინაპირობად გულისხმობს ბაკალავრის ხარისხს ხელოვნების, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკის, განათლების, ასევე ბიზნესში, ადმინისტრირებასა და სამართალში ან/დამაინორს ქართულ ფილოლოგიაში. აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ კონკრეტული საგნის გამოცდა. ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში, როგორც ჩანს, არის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ფილოლოგიის კლასტერში აქვს წლიური მიღებების ყველაზე დაბალი რაოდენობა (0-1) .

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიეკუთვნება ფილოლოგიურ კლასტერს, ერთ-ერთი „მიღების წინაპირობა“ უფრო დაზუსტებულია და განისაზღვრება, როგორც „მისაღები წერიტი გამოცდა ტექსტოლოგიაში“. შესაბამისად, ასევე სასურველი იქნებოდა მეტი გვეფიქრა „მიღების წინაპირობების“ განმარტებაზე, რადგან: 1) კლასტერში შემოთავაზებული დანარჩენი პროგრამები ზღუდავს ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მფლობელების მიღებას და მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ კლასტერის შიგნით მისაღები მოთხოვნები შესაბამისობაში იყოს მოყვანილი და 2) პროგრამა დაყოფილია ორ მოდულად და რამდენიმე კურსად შემოთავაზებული სომხური მოდული შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს თანამედროვე სომხურ ენაზე. მაშასადამე, „მისაღები წერიტი გამოცდა ტექსტოლოგიაში“ უნდა ასახავდეს ამ დაყოფას და ასევე უნდა შეიცვალოს ცალკეული მოდულების მოთხოვნების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - 7 (ფილოლოგია, მე-3 დონე)

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები რეგულირდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს მიეკუთვნება მაგისტრის ხარისხი ენებში ან ლიტერატურაში და ენათმეცნიერებაში, B2 ან C1 კომპეტენცია უცხო ენაში, სადოქტორო დისერტაციის პერსპექტიული სამეცნიერო ხელმძღვანელის და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი ინსტიტუტის, დეპარტამენტის ან კვლევითი ცენტრის რეკომენდაცია, ასევე, სადოქტორო კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეფუძნება ინტერვიუს შედეგებს და აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი კვლევის გეგმის შეფასებას . ყველა ეს წინაპირობა უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი წინასწარი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კანდიდატების მიღებას, რაც ლოგიკურად არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურთან და პროგრამის მულტიდისციპლინურ ხასიათთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 181 მიღება (წლიურად 20-40 მიღება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თსუ-ს ვებ-საიტი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა.

კლასტერის საერთო რჩევები:

განხილულ იქნეს დაბალი მიღების პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო პოპულარული გახადოთ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 (

სახელწოდება,

დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში, II დონე)

რეკომენდაციები:

1. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ტექსტოლოგიაში მისაღები გამოცდა მოდიფიცირებულია ცალკეული მოდულების მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, პირველი დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მე-2 დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მე-2 დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა, მე-2 დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექნოლოგია და რედაქტირება-გამოცემა; მე- 2 დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების ადმოსავლურ ქრისტიანობაში, დონე)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებლობითი და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებლობითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ფილოლოგიის კლასტერში შემავალი პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა გზით. სამივე დონის სტუდენტებს (მაგ. ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ

ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებში და ზოგჯერ საერთაშორისო სიმპოზიუმებშიც (მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმში), რომლებიც ორგანიზებული და დაგეგმილია სათანადო პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტების სტატიები ქვეყნდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ან თანამშრომლობითი კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის მიერ გამოცემულ ჟურნალებში, კრებულებსა და ანთოლოგიებში. პროგრამების სტუდენტებს ასევე სთავაზობენ ზამთრის და ზაფხულის სკოლებს შესაბამისი შინაარსით (მაგალითად, ქართველოლოგია), რომელთაგან ზოგიერთი საერთაშორისოა. ინტერვიუებში ასევე იყო ნახსენები თსუ-ის ზოგიერთ კვლევით ინსტიტუტში სტაჟირების რამდენიმე შესაძლებლობა. გარდა ამისა, არის სტუდენტური კონკურსები (მაგალითად, „ინოვაციები ლიტერატურაში“) და ექსპედიციები, რომლებიც რეგულარულად იმართება პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს ურჩევენ წარადგინონ საგრანტო წინადადებები რუსთაველის ფონდში და, შესაბამისად, ბევრი მათგანი ჩართულია ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კვლევით პროექტებში (მაგალითად, „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“), რომლებსაც ხელმძღვანელობენ პროფესორები. ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამას (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა) აქვს აშკარად პრაქტიკული კურსი (მაგალითად, კურსი „პრაქტიკული ტექსტოლოგია“), როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამები შეიცავს უცხო ენების კურსებს, რომლებიც აწვდიან სტუდენტებს კვლევაში ჩართვისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. თუმცა, მათი მოცულობა (10 ECTS) და შინაარსი (არ არის ფოკუსირებული აკადემიურ კითხვასა და წერაზე) შეიძლება არ იყოს აკადემიური და ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის ადეკვატური.

დისერტაცია არის გადამწყვეტი კვლევითი კომპონენტი, რომელიც სავალდებულოა ფილოლოგიის კლასტერში შემავალი ყველა პროგრამისათვის. მისი მოცულობა იცვლება პროგრამის დონის მიხედვით. მაშინ, როცა საბაკალავრო ნაშრომს 10 ECTS ეთმობა, სამაგისტრო ნაშრომს ეძლევა 30 ECTS, ხოლო სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა შეადგენს სადოქტორო პროგრამის თითქმის 80%-ს. სადოქტორო კვლევის პროგრესი კონტროლდება და ფასდება დოქტორანტების სემინარის მეშვეობით. მსგავსი კურსი ან აქტივობა არ არის გამოვლენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ზედამხედველობის პროცესი საკმაოდ სპორადული და სპონტანურია. ამის საპირისპიროდ, სადოქტორო პროგრამა აჩვენებს ბევრად უფრო მრავალფეროვან კვლევით კომპონენტს, რომელიც შეიცავს ორი შუალედური კვლევითი პროექტის პრეზენტაციას და სამ პუბლიკაციას (რომელთაგან ორი უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტების პრაქტიკული უნარების განვითარებას, არის პროფესორის ასისტირება, სადაც ახალგაზრდა მკვლევარებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სწავლებისა და შეფასების პროცესში. ასევე არსებობს ფინანსური სახსრები, როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეზე დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად, როგორცაა მოგზაურობები საერთაშორისო კონფერენციებში და ა.შ. დოქტორანტურის კვლევის ინტერნაციონალიზაციას ასევე მხარს უჭერს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად აწვდის ინფორმაციას დოქტორანტებს გაცვლითი პროგრამების შესახებ.

თსუ-ს მიერ მოწოდებული მემორანდუმები მოკლებულია კონკრეტული რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. თუმცა, ვინაიდან ფილოლოგიის კლასტერში შემავალ პროგრამებში არ არის გათვალისწინებული ფორმალური პრაქტიკა, ასეთი ფორმალური მიდგომის არარსებობა არანაირ ზიანს არ აყენებს პროგრამების შინაარსსა

და შედეგებს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები შესაბამის დარგებში კვლავაც ძალიან მაღალია (73-85%).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, კურიკულუმები;
- თსუ-ს სადოქტორო პროგრამის მინიმალური სტანდარტი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულება;
- ინფორმაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციების ან გაცვლითი პროგრამების შესახებ უნივერსიტეტის ვებსაიტზე: www.tsu.ge
- სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებული და დაგეგმილი კონფერენციები

<https://tsu.ge/ka/faculty/911/%E1%83%B0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/page/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

1. შემოთავაზებულია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, განსაკუთრებული აქცენტით კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევის პოტენციალს საერთაშორისო დონეზე.
2. შემოთავაზებულია დოქტორანტების სემინარის მსგავსი აქტივობის ან კურსის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების ეტაპობრივ გაუმჯობესებას რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ.
3. შემოთავაზებულია კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ ინფორმაციისა და ცალკე შესაბამისი დოკუმენტების (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები) შეგროვება და მიწოდება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების

მიხედვით: პროგრამა 1 (სახელწოდება, დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2

(სახელწოდება, დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. სამეცნიერო/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ტრანსფერული განვითარება	პრაქტიკული, კვლევითი/ და უნარების	შესაბამისობა ანა მათხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ანა მათხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ან მათხოვნებთან	არ შესაბამეობა მათხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, 1-ლი დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული (ქართულური) ლინგვისტიკა, მე-2 დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა, მე-2 დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა, მე-2 დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა; მე-2 დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში, მე-2 დონე)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 7 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

კლასტერის ყველა პროგრამის შემთხვევით შერჩეულ სილაბუსებში ნაპოვნი სწავლებისა და სწავლის მეთოდებია: ლექცია, საშინაო დავალება, სემინარი, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა, ამონაწერი, ბოლო გამოცდა, დისკუსია/დებატები, დემონსტრირება/ვიზუალიზაცია, ახსნა, ნაშრომი, ესე, სახელმძღვანელო, ჯგუფური მუშაობა, ონლაინ სწავლა, გამოკითხვა. ძნელია იმაზე მსჯელობა, არის თუ არა რაიმე განსხვავება ბაკალავრიატის საფეხურზე გამოყენებულ მეთოდებსა და მაგისტრატურაში ან დოქტორანტურაში გამოყენებულ მეთოდებს შორის. თუმცა, ყველა მათგანი ჩამოთვლილია ქართული ფილოლოგიის მიზნობრივი ნიშნულების განაცხადში, ფილოლოგიის სექტორში დღემდე დამტკიცებულ ერთადერთ მიზნობრივი ნიშნულების განაცხადში.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის ზოგიერთი მეთოდი ნახსენებია რამდენიმე პროგრამის აღწერილობაში (როგორცაა თანამშრომლობითი სწავლება (sic!), როლური თამაში, გონებრივი შტურმი, ჯგუფური მუშაობა, ემპირიული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), როგორც ჩანს, კლასტერში შემავალი პროგრამების კურსებში არცერთი მათგანი არ არის გამოყენებული რეალურად (ან ცხადია ეს ხდება საკმაოდ სპორადულად). ამრიგად, სწავლების ტრადიციული მეთოდები, როგორცაა ლექცია და გამოკითხვა, როგორც ჩანს, ჭარბობს თანამედროვე პედაგოგიკის მიერ გათვალისწინებულ აქტივობებსა და სწავლის ტიპებს.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მხედველობაში მიიღება სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები, განსაკუთრებით იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებმაც აკადემიური ხარისხი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს და რომელთაც აქვთ პირადი პრობლემები. პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ავლენს მოქნილობას სხვადასხვა განათლების მქონე სტუდენტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ გარკვეული საბაზისო ცოდნა ამ სფეროში და სთავაზობენ მათ დამატებით შეხვედრებსა და კონსულტაციებს. აქ არის მოქნილობის კიდევ რამდენიმე კარგი მაგალითი სწავლებისა და სწავლის მეთოდების კუთხით: სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შეუძლებელი იყო გაკვეთილებზე დასწრება და პროფესორმა შესთავაზა ინდივიდუალური ონლაინ შეხვედრები; ენობრივი კომპეტენციის არქონის გამო მოსწავლეს შეეცვალა შეფასების კომპონენტი (ნაშრომები ქვიზით); სტუდენტს პერსონალურად შესთავაზეს საწყისი დონის ენის კურსი. ასე რომ, აკადემიური პერსონალი ავლენს მზადყოფნას და ღიაობას, როდესაც საჭიროების შემთხვევაში საქმე ეხება სწავლებისა და სწავლის მეთოდების კორექტირებას.

ამკარაა, რომ კლასტერში შემავალ პროგრამებში ძალიან ცოტა საერთაშორისო სტუდენტია ჩართული. რაც შეეხება რამდენიმე სტუდენტს ჩინეთიდან, რომლებიც სწავლობენ ერთ-ერთ პროგრამაზე, აკადემიური პერსონალის წევრებმა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეს ინგლისური, როგორც შუამავალი ენა.

პანდემიის დროს თსუ-მ უზრუნველყო ელექტრონული სწავლა Zoom პლატფორმისა და ელექტრონული სწავლების პლატფორმის, Moodle-ის ლოკალური ვარინტის დანერგვით. როგორც ინტერვიუებში ითქვა, ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა არ ახდენს გავლენას სილაბუსებზე. რამდენიმე სილაბუსში მოძიებული უფრო დეტალური აღწერილობის გათვალისწინებით, ცხადია, რომ „ონლაინ სწავლება“ გაგებულია, როგორც ლექციების ჩატარება Zoom-ის საშუალებით, ხოლო საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე ატვირთვით. არ იყო ნახსენები ონლაინ და შერეული სწავლების არც მეთოდები და არც ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, კურიკულუმები, სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ელ-სწავლების პლატფორმა <https://e-learning.tsu.ge/login/index.php>
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 25 მარტის დადგენილება No67/01-01)
- დისტანციურ ელექტრონულ ფორმატში სწავლის ადმინისტრირებისა და კონცეფციის წესი (ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება 21/2020, 6 აპრილი, 2020 წ.)
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის.
2. რეკომენდირებულია ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/დისტანციური სწავლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2

(სახელწოდება,

დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობა მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ბაკალავრიატი))	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართველური ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა))	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურული კრიტიკა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-გამომცემლობა (მაგისტრატურა))	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; MA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია-დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამულ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების შეფასება ხორციელდება თსუ სასწავლო პროცესის დებულებით (თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) განსაზღვრული პრინციპებით, წესებითა და პროცედურებით, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას. შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო კურსებს და სხვა საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების

უნარებისა და ცოდნის ამალგებაზე და სტუდენტებისგან ადეკვატური უკუკავშირის მიღებაზე. ინტერვიუების დროს პროგრამის თანამშრომლებმა ხაზი გაუსვეს შეფასების მიდგომის სტრატეგიებს, რომლებიც ძირითადად არის წერიითი გამოცდა, ესეები, პრეზენტაცია, შემოქმედებითი დავალებები. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ შეფასება შესაბამეა მათ სასწავლო გეგმას.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები არის სამართლიანი ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კომპონენტები და მეთოდები ქვეყნდება და წინასწარ არის ცნობილი მათთვის, სილაბუსები განთავსებულია სტუდენტების ელექტრონულ პორტალზე და ასევე, იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს კურსების დაწყებამდე და გამოცდებამდე. შეფასებისას მოსწავლეები იღებენ უკუკავშირის მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

საბაკალავრო დონეზე, სტუდენტებისთვის სავალდებულო სასწავლო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნის შემდეგ, ასევე საბაკალავრო ნაშრომი გაივლის შემოწმებას Turnitin-ის ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია მისი რეცენზირება დარგის სპეციალისტის მიერ (თუ სტუდენტმა არ მიიღო არანაკლებ 31 ქულისა მაქსიმალური 60 ქულიდან, იგი ვერ წარადგენს პრეზენტაციას საჯარო დაცვაზე) და სტუდენტის ზეპირი პრეზენტაცია კვლევის შედეგების შესახებ ნაშრომების დაცვის კომისიის წინაშე (მაქსიმალური 40 ქულიდან საჭიროა მინიმუმ 20 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება არის რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულებისა და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამი. საბაკალავრო ნაშრომი ჩაითვლება დაცულად და სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, თუ მიღებული საბოლოო შეფასება იქნება 51 ქულა და მეტი.

თსუ-ში სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს აქვთ სახელმძღვანელო - „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები“, დოკუმენტი განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, ფორმატირებას, პრეზენტაციას და შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასებაში ასევე მონაწილეობს გარე შემფასებელი. თსუ-ს ჩამოყალიბებული აქვს დოქტორანტურის საგზაო რუკა: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო პერსონალის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს აქვთ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები, სამეცნიერო კომპონენტების სტუდენტები აქტიურად მუშაობენ სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ის პერიოდულად აფასებს პროგრესს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა ტარდება თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების მიხედვით. დისერტაციის დაცვამდე, როგორც მინიმალური სტანდარტის მიხედვით, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა დისერტაციის თემასთან დაკავშირებული შემდეგი ორი ტიპის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც გააჩნია ISSN კოდი და საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და ღიაა საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორიდან ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა იყოს საერთაშორისო ჟურნალში (ან კონფერენციის მასალებში) Scopus-ის ან Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ინდექსირებულ (ERIH PLUS მხოლოდ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართული და კავკასიური კვლევების მიმართულებით) ბაზებში. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების დროს ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელებისგან და სტუდენტებისგან, რომ დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სამი სახის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება. მარეგულირებელ დოკუმენტებში დაცვისათვის აუცილებელი

პირობების სიცხადისთვის გთავაზობთ, დაზუსტდეს სავალდებულო კვლევის კომპონენტების რაოდენობა და შესაბამისად, საუნივერსიტეტო საზოგადოება იყოს ინფორმირებული ნებისმიერი სიახლის შესახებ.

ნაშრომის განხილვის მიზნით ფაკულტეტის საბჭო ირჩევს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომლებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით. ნაშრომის დაცვა საჯაროა. ამის შესახებ ინფორმაცია დისერტაციის დაცვამდე ერთი კვირით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის (შესაბამისი ფაკულტეტის) ვებგვერდზე. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

თსუ-ს აქვს მოთხოვნები დისერტაციის აკადემიური სტილის თაობაზე და სტუდენტებმა წინასწარ იციან, რომელი სტილი გამოიყენონ. ვიზიტის დროს ექსპერტებმა ნახეს სტუდენტების ნამუშევრები და ნამუშევრებში გამოყენებული აკადემიური სტილი ყველგან ერთნაირი იყო (APA სტილი).

თსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პოლიტიკის დოკუმენტი აკადემიური საბჭოს სხდომაზე რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა მეცნიერთა სამუშაო ჯგუფმა (დადგენილება N37) დაამტკიცა. პოლიტიკის მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო კურსები/პროექტები და სამუშაოები მოწმდება პლაგიატის პროგრამით - Turnitin-ის საშუალებით პლაგიატის პრევენციის მიზნით. განათლების ყველა საფეხურის სტუდენტს აქვს წვდომა პროგრამის გამოყენების ინსტრუქციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია თსუ-ის პორტალზე <http://e-learning.tsu.ge/>.

თსუ სტუდენტებს გააჩნიათ შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების უფლება. სტუდენტს აქვს უფლება და შეუძლია გაასაჩივროს შეფასება. სტუდენტმა განცხადება სახელწოდებით „გამოცდის ქულების გასაჩივრება“ უნდა გამოაგზავნოს თსუ-ს ელექტრონული სისტემიდან (LMS) გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში. საპრეტენზიო კომისიაში წარდგენამდე სტუდენტებს შეუძლიათ საგამოცდო ნაშრომის განხილვა და შემდეგ საპრეტენზიო კომისიაში განცხადების წარდგენა. შეფასების პროცედურის გამჭვირვალობის და მაქსიმალური ობიექტურობის მიზნით თსუ-ს აქვს სტრუქტურული ერთეული - საგამოცდო ცენტრი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ნებისმიერ ინფორმაციას გამოცდებთან დაკავშირებით.

ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თსუ-მ შეიმუშავა შეფასების შედეგების ანალიზის სტრატეგია და ის განხორციელების ეტაპზეა.

თსუ-მ შეიმუშავა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში დისტანციური განათლების დანერგვის კონცეფცია ელექტრონული ფორმით და ადმინისტრირების წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტების ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასების მეთოდებს.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ფილოლოგიურ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამები და სილაბუსები;

- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- o თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები
- o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი
- o თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესები. იხილეთ ფაკულტეტის ვებგვერდი
- o ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო ნაშრომების ანგარიში
- o ჰუმანიტარული ფაკულტეტის დადგენილება
- o თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 / 2020 ბრძანება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის თაობაზე.
- o ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დადგენილება
- o ინსტრუქცია საბაკალავრო/სამაგისტრო/საკანდიდატო ნაშრომის პლაგიატის შესახებ
- o ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების

მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1

(სახელწოდება,

საფეხური)

რეკომენდაცია (ები):

რჩევები:

პროგრამა 2

(სახელწოდება,

საფეხური)

რეკომენდაცია (ები)

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი სტუდენტთა შეფასება	2.4.-	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა (ქართული ფილოლოგია) ბაკალავრიატი	1	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა (ქართველურ ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	2 ენათა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა (ქართულილიტე რატურა (მაგისტრატურა))	3	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა (ზოგადი გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	4 და	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (ლიტერატურული კრიტიკა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-პუბლიკაცია (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში; მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფილოლოგია და (დოქტორანტურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ან მოთხოვნებთან	არ შესაბამისობა ან მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია) ბაკალავრიატი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართველურ ენათა ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურა (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ლიტერატურული კრიტიკა, ტექსტოლოგია და რედაქტირება-პუბლიკაცია (მაგისტრატურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფილოლოგიური კვლევები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანობაში;	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მაგისტრატურა))				
პროგრამა 7 (ფილოლოგია (დოქტორანტურა))	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
